



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბუქ-
უბი სიფყვას, ფუილიუბით და ჭებრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯადისებბაჟ უსბაბგოლსია.



გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი, 16 მარტი. 2019 წ. №53-54 (8719-8720)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

საფრანგეთიდან - იაპონიაში!



ტოკიოში გამოფენა „საქართველო - ღვინის საშობლო“, ოფიციალურად გაიხსნა

პრემიერ-მინისტრმა ტოკიოში გამოფენა „საქართველო - ღვინის საშობლო“ ოფიციალურად გახსნა. იაპონიის დედაქალაქი ტოკიო ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილ გამოფენას - „საქართველო - ღვინის საშობლო“ მასპინძლობს.

ექსპოზიცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ ოფიციალურად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად გახსნა.

გამოფენა, რომლის კონცეფციაც დაფუძნებულია ქართული ღვინის მრავალათასწლოვანი კულტურის წარმოჩენაზე, უნიკალურ არქეოლოგიურ ექსპონატებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს აერთიანებს. პროექტში იაპონელი პარტნიორების მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა უახლესი ტექნოლოგიის - WarpSquare-ის გამოყენებით ქართული კულტურისა და ღვინის ისტორიის გაცოცხლება, რაც დამთავლიერებელს ინტერაქციის დახმარებით უძველესი ღვინის საშობლოში მოგზაურობის საშუალებას აძლევს.

მთავრობის მეთაურმა სტუმრებთან ერთად გამოფენა დაათვალიერა და მის შესახებ დეტალური ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელ დავით ტყემალაძისგან მიიღო. პროექტი - „საქართველო - ღვინის საშობლო“, გამოფენასთან ერთად, ქართული ღვინის წარმოშობისა და უნიკალურობის შესახებ მსოფლიო-

ში ცნობილი სპეციალისტების სემინარებს, დეტალურად, „ქართული სუფრის“ მასტერკლასებსა და კულტურულ პროგრამას მოიცავს. ქართული ღვინის ისტორიით დაინტერესებულ იაპონური მედიის წარმომადგენლებს ინტერვიუ მისცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. გამოფენის სტუმარი ჟურნალისტებისთვის კი პრესკონფერენცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გამართა.

ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია ტოკიოში, საგამოფენო ცენტრ Terrada Warehouse-ში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია „ქართული ღვინის“ ორგანიზებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საქპატენტის“ და ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიის Sony music communication-ისა და კომპანია TOPPAN-ის პარტნიორობით იმართება და 7 მაისამდე გაგრძელდება.

პროექტის - „საქართველო - ღვინის საშობლო“ განხორციელება 2017 წელს, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრიდან დაიწყო და მეცნიერულ კვლევას მიეძღვნა, რომლის შედეგად, სამეცნიერო საზოგადოებამ საქართველო ღვინის საშობლოდ აღიარა.



პატრიარქის სურვილი, აფხაზეთში არსებული სომხური ეკლესიები დაექვემდებარონ საქართველოს ეპარქიას, ან თუნდაც თქვენ

განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სომხეთის კათოლიკოს ბარბაქო II-თან გამართულ შეხვედრაზე.

„ერთი საკითხი, რომელიც უნდა გადმოგვცეთ პატრიარქისგან, ესეა სომხურ ეკლესიებს აფხაზეთში, ეს არის არსებული ეკლესიები და ახალი აშენებული ეკლესიები, რომლებიც ექვემდებარებიან მეტროპოლიტს რუსეთში. პატრიარქის სიტყვებია, რომ ეს არის ძალიან დიდი გულსიტყვილი, რომ არ დაირღვეს სწორედ ჩვენი სუვერენიტეტი ჩვენს ტერიტორიაზე, უფრო სასურველი იქნება, რომ დაექვემდებარონ საქართველოს ეპარქიას, ან თუნდაც თქვენ, თქვენო უწმინდესობა“, - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

სომხური ეკლესიის მეთაურის განცხადებით, მსოფლიოში გაფანტული სომეხი ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ სულიერი ღირებულებებისა და ფასეულობების შენარჩუნება. სომხეთის სამოციქულო ეკლესია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სომხურ სამრევლოებს აღიარებს სომხური ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დაქვემდებარებაში, - განაცხადა სომხეთის კათოლიკოსმა ბარბაქო II-მ საქართველოს პრეზიდენტთან სალომე ზურაბიშვილთან გამართულ შეხვედრაზე. ბარბაქო II-ის განცხადებით, აფხაზეთი არის სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის კანონიკური ტერიტორია, ეს არის ფაქტი, რაც წერილობითი ფორმით არის დადასტურებული. საქართველოს პრეზიდენტმა სომხური ეკლესიის მეთაურთან გამოსატანა მისი მკვეთრი პოზიცია აფხაზეთში მდებარე სომხური ეკლესიის სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სამხრეთ რუსეთის ეპარქიისთვის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება აღიქმება სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების დარღვევად და მოსთხოვა კათოლიკოსს გადაწყვეტილების დროულად შეცვლა და აღნიშნული ეკლესიის და სამრევლოს წინამძღვრის სომხეთის ეკლესიის საქართველოს ეპარქიის იურისდიქციის ქვეშ დაქვემდებარება, როგორც ეს ისტორიულად იყო.

სომხური ეკლესიის მეთაურმა დასძინა, რომ „ამ დროებითი ზომის მიუხედავად, სომხეთის სამოციქულო ეკლესია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სომხურ სამრევლოებს აღიარებს სომხური ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დაქვემდებარებაში“, - პრეზიდენტი ამ განცხადებას მიესალმა და აღნიშნა, რომ დროებით ზომას შეთანხმებული გამოსავალი უნდა მოეძებნოს.

გიზო ზარნაძე: 4

**ნიღაბი, რომლის
უკანაც გონებრივი
სიმახინჯე იმალება...**

გურამ ბენაშვილი: 5

**სიკვდილთან
დაქორწინებით
იბაღება ხელოვნის
ცნობიერი უკვდავება...**

**ხელოვნურად შექმნილი
სასაკლავო** 19

**საზვიარო აზროშობილუბის
უსასრულო რიგები სავალ გზაზე**

საძარტველოსა და იაპონიის შორის ექსპორტისა და ინვესტიციების დაზღვევის საკითხზე შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულაძემ და იაპონიის ექსპორტისა და ინვესტიციების სადაზღვევო კომპანიის NEXI პრეზიდენტმა მასაჟუმინ ნაკადამ. ხელმოწერის ცერემონია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის იაპონიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა.

შეთანხმება ითვალისწინებს იაპონური და ქართული საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხელშეწყობას, შესაბამისი ადგილობრივი კომპანიების მხარდაჭერას ერთმანეთის ბაზარზე წვდომის უზრუნველსაყოფად და იაპონიის კომპანიების მხარდაჭერას საკუთარი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად საქართველოში, რისთვისაც იაპონიის ექსპორტიორებს, ინვესტორებსა და ფინანსურ ექსპერტებს მიენიშნება შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული კომპანიების ეფექტურ და მომგებიან საქმიანობას მათი მიზნების მისაღწევად.

იაპონიასთან დაახლოება ეკონომიკის წინსვლის ბარანტიას



შეთანხმების პრიორიტეტული სფეროებია მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, მენარმეობა, ტურიზმი, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ტელეკომუნიკაციები და თანამედროვე ტექნოლოგიები, ვაჭრობა და ექსპორტის ხელშეწყობა, სახელმწიფო ქონების მართვა, სამშენებლო პოლიტიკა, ინვესტიციები, ა.შ.

NEXI არის იაპონიის სამთავრობო ოფიციალური საექსპორტო საკრედიტო სააგენტო, რომელიც სადაზღვევო პროდუქტებით უზრუნველყოფს იაპონიის ექსპორტიორებს, ინვესტორებსა და ფინანსურ კომპანიებს. შეთანხმება, რომელიც იაპონიის ექსპორტისა და ინვესტიციების სადაზღვევო კომპანიასთან (NEXI) გაფორმდა, აუცილებელია საქართველოში იაპონური ბიზნესის განვითარებისთვის. ძალიან გამაყობებელი ვართ, რომ იაპონიასთან აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოვანერეთ, რადგან ის კიდევ ერთ ბიძგს მოგვცემს, ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდეს არამართო იაპონელების შემოსვლით საქართველოში, არამედ ქართული კომპანიების გააქტიურებით იაპონურ ბაზარზე, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულაძემ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ.

თბილისის გენერალური გეგმა მწყობრშია, ახლა მთავარია მისი განხორციელება!

დედაქალაქის საკრებულოში თბილისის მინისტარგებლობის გენერალური გეგმა განიხილეს.

დედაქალაქის მერიამ და „სითი ინსტიტუტმა“ ერთი წლის განმავლობაში იმუშავეს გენერალური გეგმის დახვეწაზე, რათა აღმოფხვრილიყო ყველა უზუსტობა და ხარვეზი, რომელიც დოკუმენტს გააჩნდა. ამ პროცესში შენარ-

ჩუნდა პროექტის თავდაპირველი სამუშაო ვერსიის კონცეფცია: მწვანე, შეკავშირებული და კომპაქტური ქალაქი, რომელსაც დაემატა მედეგი ქალაქის მართულებაც.

გენერალური გეგმის პროექტის განხილვაში ჩართულნი იყვნენ კერძო მესაკუთრეები და მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში.



ოპოზიციის დღის წესრიგი აუიოტაჟის შექმნა და არა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტზე მსჯელობა

გშშინ თბილისის საკრებულოში შვიდი კომისიის გაერთიანებული სხდომა მიმდინარეობდა, რომელზეც თბილისის განვითარების მინისტარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო ვერსიის განხილვადნენ. სხდომაზე განცხადება ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ზარქუამ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ახალი გენერალური გეგმით თბილისში რეკრეაციული ზონა 4 მილიონი კვადრატული მეტრით იზრდება.

„დედაქალაქში არსებული რეკრეაციული ზონების ფართობი 254 მილიონი კვადრატული მეტრი იყო. იმ გეგმით კი, რომელიც დღეს საკრებულომ უნდა დაამტკიცოს, 258 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება. რაც შეეხება სატყეო ზონას, რომელიც საერთოდ გამქრალი იყო რუკიდან, 139 მილიონ კვადრატულ მეტ-

რამდე გაიზარდა. ეს არის სწორედ ის კრიტერიუმები და შეფასებები, რომლითაც უნდა ვისჯელმძღვანელოთ, როცა ახალ გენერალურ გეგმაზე ვსაუბრობთ. რაც შეეხება ხარვეზებს, მინდა გითხრათ, რომ კომისიური განხილვების დროს ჩვენ მათზე ვიმჯელებთ და ყველა დაფიქსირებული ხარვეზი გამოსწორდა, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს, რომ მომავალში გარკვეული დაზუსტებები გახდეს საჭირო“ — განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

ირაკლი ზარქუა გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მათი დღის წესრიგი აუიოტაჟის შექმნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დაეხსნებოდნენ და მათთვის საინტერესო საკითხებზე პასუხებს მიიღებდნენ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ენობრივი დისკრიმინაციის შესახებ გაერო მსჯელობს

საძარტველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ვიქტორ დოლიძემ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მე-40 სესიის ფარგლებში გამართულ გენერალურ დებატებზე ენობრივ დისკრიმინაციაზე ისაუბრა.

ვიქტორ დოლიძემ სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ენობრივი დისკრიმინაცია განსაკუთრებით მწვავეა იმ ტერიტორიებზე, სადაც სუვერენულ სახელმწიფოებს არ ეძლევათ საშუალება, განახორციელონ ეფექტური კონტროლი და სადაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებს არ აქვთ წვდომა.

„სამწუხაროდ, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვა, ენობრივი დისკრიმინაციის კიდევ ერთი მათელი მაგალითია“, — აღნიშნა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა.

ვიქტორ დოლიძემ საკუთარ გამოსვლაში მოუწოდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს, შეწყვიტოს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველი მოსახლეობის ენობრივი დისკრიმინაცია.

უცხო ქვეყანაში უკანონო დარჩენა დასჯადი ხდება

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უცხო ქვეყანაში თავშესაფრის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ხელშეწყობისთვის და ორგანიზატორისთვის სისხლის სამართლის წესით დასჯადობის შემოღებას მხარი დაუჭირა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

როგორც მომხსენებელმა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავა განმარტა, ცვლილება ეხება ახალი დანაშაულის განქნას სისხლის სამართლის კოდექსში, რაც გულისხმობს კონკრეტულ ქმედებას.

„საუბარია წინასწარი შეცნობით, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს მოქალაქისთვის უცხო ქვეყანაში უკანონო დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნას და ორგანიზებას და ასევე, ამავე განზრახვის და ფინანსური დაინტერესების მიზნით საქართველოს მოქალაქისთვის უსაფუძვლოდ თავშესაფრის მიღებაში დახმარების აღმოჩენას“, — აღნიშნა თამარ ხულორდავა.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის განცხადება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსიათა რაოდენობა
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
ფიზიკური ქიმია	1
მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია	1
საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება	
მართვის სისტემები	1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მალალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამონებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4/6, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება.

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2019 წლის 16 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამმართველო, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (www.science.org.ge), რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსია.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კადრების სამმართველოში.

გიორგი კვიციანი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

რამაზ ხუროძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემსრ., აკად. წევრ-კორ.

რამაზ ხუროძე ატომური ელექტრო-სადგურის მუშაობაზე ალაპარაკდა



„თუ ასე გაგრძელდა, მოკლე ხანში დიდი ენერგეტიკული კრიზისი გველოდება და ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი დადგება, — განაცხადა პარლამენტარმა რამაზ ხუროძემ 2018 წლის ივლისში. 1992-1993 წლებში საქართველოს საბოლოო-ენერგეტიკის მინისტრი და დღემდე ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი ატომური ელექტროსადგურის თემას 2019 წლის მარტში კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და უცხოური ინვესტიციების შემცირების მიზეზებზეც ილაპარაკა, თან დასძინა, რომ ეს ენერგეტიკაში დაბანდების კლებითაა გამოწვეული.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ვერსია ინვესტიციების კლებასთან დაკავშირებით განსხვავდება რამაზ ხუროძის ვერსიისგან. საქსტატი თვლის, რომ უცხოური კაპიტალის კლება მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულებას და რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლას მოჰყვა. საქსტატისავე ინფორმაციით, ენერგეტიკაზე მეტ ფულს ინვესტიციები საფინანსო და სატრანსპორტო სექტორებში დებენ.

ეკონომისტი **ბიზა ჯანდიერი** თვლის, რომ როდესაც ქვეყანაში რომელიმე ერთი სექტორია დომინანტური, მისი შეფერხების შემთხვევაში ეკონომიკა ავტომატურად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. ასეთი მოცემულობა ნებისმიერი ქვეყნისთვის პრობლემურია და მიზანი არა რომელიმე სფეროში განსაკუთრებული პირობების შექმნა უნდა იყოს, არამედ ეკონომიკის მეტად განვითარება.

2019 წელს ელექტროენერჯის მოხმარების 10.9%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი. ენერჯის მოხმარების ზრდასთან ერთად მეტ აქტუალობას იქნენ ენერგოდამოუკიდებლობის საკითხიც. „ზოგადად, თუ ენერგეტიკის სფეროში არ გვექნება სწორი პოლიტიკა, შეიძლება ისევ გავხდეთ ენერგომომორტზე დამოკიდებული ქვეყანა“, — თვლის ეკონომისტი გია ჯანდიერი, რომლის შეფასებითაც, ახლა ქვეყანას ინერტულად სწორი პოლიტიკა აქვს, რადგან ხელს არ უშლი სამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვას. „ქვეყანას უნდა ჰქონდეს მკაცრი მოთხოვნები და ვითხოვდეთ, მაგალითად, იმას, რომ ვინც აქ ფულის ჩადებას გადაწყვეტს, უნდა იყოს ლონდონის ან ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, ჰქონდეს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, საერთაშორისო ნდობა, ეკოლოგიური პრობლე-



მატაციას მრავალი მაღალი კომპეტენციის სპეციალისტი, რომელთა მოქმედება საქართველოში გაჭირდება.

გარდა ამისა, ბირთვული ელექტროსადგურის მოქმედების ვადა შეზღუდულია და 30-დან მაქსიმუმ 60 წლამდე შეიძლება მისი ფუნქციონირება. ატომური ელექტროსადგურის მუშაობა რადიოაქტიურ ნარჩენებს და მძიმე წყალს წარმოშობს, დახურვის შემდეგ კი რჩება რადიოაქტიური ნაგებობა, რომლის არსებობაც საქართველოში, მისი სეისმოლოგიური და ეკოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსაფრთხოდ რთულია ჩაითვალოს.

განახლებადი ენერჯის წარმატებით გამოყენების შემთხვევები აჩვენებს, რომ არსებობს ალტერნატივები. მაგალითად, გერმანიაში, საერთო ენერგომომხმარების 35 პროცენტს შეადგენს ქარის სადგურებიდან მიღებული ენერჯია.

„მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნება პარლამენტმა და ამ ძვირფასმა დეპუტატმა, გაიხსენონ, რომ ახალი კონსტიტუციით მათ აქვთ გაზრდილი საზედამხებელო უფლება. გამოიყენოს ეს უფლება, შეიქმნას კომისია და გამოიკვლიოს ენერგეტიკის სექტორში არსებული ვითარება. როცა ბატონი არველაძე საუბრობს, რომ მოსახლეობას ვიღაც აქეზებს, ჯობს, გამოიკვლიონ რა საკითხებია, რაც იწვევს მოსახლეობის და სხვა ჯგუფების უკმაყოფილებას ჰესების მშენებლობისას“ — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი, რომელიც თვლის, რომ მოსახლეობას აქვს მტკიცე საფუძველი, იყოს უკმაყოფილო ჰესების მიმდინარე მშენებლობებით.

„ჰესებთან დაკავშირებული პროტესტი საქართველოს არაერთ რეგიონში არსებობს და პრობლემა ის არის, რომ ხელი-სუფლება ერთსა და იმავე შეცდომებს იმეორებს: იგნორირებს ჩვენს კანონმდებლობას და საერთაშორისო პრაქტიკას, მაგრამ არსებული სასამართლო სისტემის პირობებში ჯერჯერობით ეს გადაის, — აცხადებს იგი.

ნანტასია არაბული

განსხვავებები, რომ ჯარი 90-იან წლებს უბრუნდება, თითოეული ჯარისკაცისთვის შეუარსებოდა

„პრეზიდენტი“ სამხედრო ბაზაზე ახალწვეულის ქაზიმ გახრამანოვის მიმართ ფიზიკურ ძალადობას და ამ ფაქტთან დაკავშირებით ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს თავდაცვის მინისტრი გამოეხმაურა. ლევან იზორია ამბობს, რომ ეს კრიტიკა დაუმსახურებელი და თითოეული ჯარისკაცისთვის შეურაცხმყოფელია:

„ქართული ჯარი ასეთ დაუმსახურებელ კრიტიკას, იმიჯის და, ზოგადად, ავტორიტეტის შემლახავ დამოკიდებულებას ძალიან სენსიტიურად აღიქვამს. მათ წლების განმავლობაში საკუთარი ქვეყნისთვის ყველაფერი გააკეთეს, იმისთვის, რომ შეიარაღებული ძალები იყოს ინსტიტუციურად ძლიერი და აღიარებული. ეს არ არის მათი ან ჩემი სუბიექტური შეფასება. ეს არის ცივილიზებული სამყაროს აღიარება, რომ გვაქვს



მნიშვნელოვანი პროგრესი ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში. ეს გუშინ ნატოს გენერალური მდივნის წლიურ ანგარიშშიც დადასტურდა. განცხადებები, თითქოსდა ეს საბრძოლო ინსტიტუტი 90-იან წლებს უბრუნდება, არის თითოეული საბრძოლო ჯარისკაცისთვის შეურაცხმყოფელი. როდესაც გვესმის განცხადებები, რომ სისტემური ხასიათი მიიღო ასეთი ტიპის დანაშაულებმა, არის ღიმილისმომგვრელი სწორედ მათთვის, ვინც წლების განმავლობაში აქ მსახურობდა და იცის, რა პრობლემები იყო. ერთეულ შემთხვევებზე, რომელიც, ყველგან ხდება, ისეთი განცხადებების გაკეთება, თითქოსდა ეს არის სისტემური ხასიათის, არის თითოეული ჩვენგანისთვის დიდი შეურაცხყოფა“, — განაცხადა იზორიამ.

როდესაც 1998 წელს საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა საზეიმო შესვენებაზე ფრანგ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობაც მიიწვია. მაგრამ... ფრანგმა მწერლებმა პრეზიდენტის შესტის ცივი წყალი გადაასხეს: ეგ რა ეროვნული ნაკრები, ზოგი ალჟირელია, ზოგი სომეხი და ზოგიც — ეშმაკა იცისო.


რაც შეეხება საქვეყნოდ ცნობილ კინომსახიობ ალენ დელონს, მან საზგასმით აღნიშნა პრესაში: ამ ჩემპიონობას ჩემთვის არანაირი სიამაყის გრძნობა არ მოუგვრია — უცხოელთა თამაშს, თუნდაც ბრწყინვალეს, მე, ფრანგი კაცი, რატომ უნდა აღვეფრთოვანებინო!

უფროს თაობას კარგად ეხსოვება, როგორი ეროვნული აღტყინება გამოიწვია ჩვენი „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებამ 1964 წლის ოქტომბერში მოსკოვის „ტორპედოელებთან“ გამართულ „ოქროს მატჩში“. სხვათა შორის, თბილისელთა ამ „თავხედობამ“ იმდენად დაბოლმა „უფროსი ძმები“, რომ დიდხანს ვერ მოინდლეს ქართველ ფეხბურთელთა ტრიუმფი — ჯერ დიდებული ლატივიელი მსაჯი რუბენის ჩამოაშორეს სამიდელოდ მსაჯობას, მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც „დინამოს“ ჩინებულმა მეკარემ ოთარ გაბელიამ „მკვდარი პენალტი“ აიღო და სისარულისგან შეხტა, მიმომხილველ მასლაჩენკოს ღვარძლით აღსავეს ფრაზა გაისმა ეთერში: „გაბელიას შეკვივრება უტაქტობის ქრესტომათიული ნიშნით გახლდათო!“ ხოლო, უშუალოდ იმ მატჩის შემდეგ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-სპორტში“ კვლავ და კვლავ ღვარძლიანი ფელეტონი გამოქვეყნდა — „ღრეობა მტკვრის პირას“.

შორს აღარ წავალთ. ვფიქრობთ, ყოველი მოკვდავისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ეროვნული სიამაყის გრძნობა არათუ გასათვალისწინებელი, აუცილებელი თვისება გახლავთ. ისიც ხომ კარგად გვახსოვს, შესანიშნავი რუსი რეპორტიორი, ცხონებული ნიკოლაი ოზეროვი, თავისთავად, საკმაოდ ტოლერანტი ადამიანი, რამსიგრძე „გოიოოოოლს“ ჩაურთავდა ხოლმე, როცა რუსი ფეხბურთელი ბურთს შეაგდებდა!.. რუსი გახლდათ და რუსის წარმატება ახარებდა იმ კაცს!..

საქტელერადიოკორპორაციის ან უკვე განსვენებული ერთ-ერთი ხელმძღვანელი (გვარს არ დავასახელებ) ტექსტში თუ სიტყვა „მამულს“ წააწყდებოდა, უსათუოდ „სამშობლოთი“ შეცვლიდა ხოლმე. ხანდაზმულ მწერლებს მოეხსენებოდა, როგორი „მწარე ენა“ ჰქონდა მშვენიერი ქართველ პროზაიკოსს გიორგი ნატროვილს. როდესაც ეს ამბავი ჩემგან მოისმინა, მითხრა: ეგა, მგონი, ნაომარი კაცი უნდა იყოს და, ჰკითხე ერთი, მამაშვილურად, რომელი ომში იბრძოდა — სამამულოში თუ სამშობლოში!..

ეს ამბავი იმიტომაც გავიხსენე, რომ ჩვენ, ქართველებს, შიგადაშიგ, ჩვენივე ნიჰილისტიკ გამოგვერევა ხოლმე, რო-



ნიღაბი, როგორ უკანას გონებრივი სიმახინჯე იმალება...

მელიც სავარძლის სიყვარულით საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიდის.

ქართველებს მთელ სამოცდაათ წელს გვიკვირებდნენ ჩვენს საზგასმულ ეროვნულობას. სულს უმწარებდნენ შალვა ნუცუბიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილს, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძეს, მუხრან მაჭავარიანს, ებუტე ბოდენე ქალბატონ ანას.

არც ერთ დროს, არსად არავის არ მოსწონდა, ქართველი თუ ქართულ საქმეს ქართულად აკეთებდა!.. მე, პირადად, საღვთო შურით მშურს ჩვენი ისტორიული მოძიხი, სომეხი ხალხის: სტუმრად ყველას ხელგამული ეგებებიან, მას-პინძლად — უკაცრავად!.. ასეთი გახლდნენ სომეხები ოდითვე. ბარაკალა მათ!..

თბილისის გულში, ერთ მტკაველ მიწაზე, ლამის გვერდი-გვერდ დგას სიონის ტაძარი და სინაგოგა!.. არათუ ერთ მტკაველზე, მთელ სომხეთში ვერ წააწყდებით სინაგოგასა თუ მეჩეთს, ერთ ებრაელსა თუ თურქს!..

კათოლიკე ქრისტიანი რომ კათოლიკე ქრისტიანია, სექტებს ისიც ვერ ეგუება. ერთი ალიაქოთი აქვთ ატეხილი გერმანიაში, საფრანგეთში, ირლანდიაში თუ იტალიაში ნებნიმიერი სექტის წინააღმდეგ. მისმა უწმინდესობამ რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ სასტიკი უარი სტყვა რომის ამჟამინდელ პაპს — იოანე-პავლე მეორეს ვიზიტზე!.. სომხეთის დედაქალაქში კი „იელოვას მოწმეთა“ აგიტლიტერატურით გაძევილი თვითმფრინავს ტრაპიკ არ მიაყენეს, ისე აუკრეს გუდა-ნაბადი!..

ჩვენ ლამის ჯვაროსნული ომი გამოგვიცხადონ და, საცაა, ჯვარსაც გვაცვან

— როგორ თუ სხვა სარწმუნოებათა მართო შეუწყნარებლობას ამჟღავნებთო!.. რომელი ჭკუათამყოფელი გაილაშქრებს კლასიკური რელიგიების მიმდევართა წინააღმდეგ, მაგრამ სექტა სხვაა, რელიგია — სხვა, შუა რაღაცა უზით. სინაგოგაც და მეჩეთიც მართლმადიდებელთა ტაძრის მახლობლად დგანან-მეთქი! მაგრამ, რომ იტყვიან, „ნოლ ვნი მანია“! მაინც თავისას ურახუნებენ: ტოლერანტები არა ხართო, იზოლაციონიზმი შეგყარათ პირველმა პრეზიდენტმა და მსოფლიო თანამეგობრობას უპირისპირდებითო; იცოდეთ, ევროკავშირში მიგიღებენ კი არა, ევროსაბჭოდანაც გამოგაპანდურებენო, ეკონომიკურ ბლოკადაში მოგაქცევენ და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიხოცებითო!.. თან ყველა ამ „სიკეთით“ იმიტომ გვემუქრებიან, რომ: რას ჰქვია ეროვნება ქართველი, სომეხი და თათარიო!.. სომეხს რომ „სომეხი“ ჩაენეროს, ხომ შეიძლება ვინმემ წამოსძახოს — ჰაი, შე სომეხო (მართლაც, ეთნიკური სომეხი ყურნალისტი ვან ბაიბურთი ბრძანებს ასე!). დიდება შენდა, უფალო ჩვენი, დიდება შენდა!.. რას არ მოასწრებ შენგანვე გაჩენილ ადამიანს!.. კი მაგრამ, ი სომეხმაც დაგვიძახოს — შე ქართველო! — და ბარბარს ვიქნებითო!.. მაგრამ არა, „შე ქართველო“ თურმე პრივილეგია ყოფილა, „შე სომეხო“ — დედის გინება!.. ალბათ, ასე ეჩვენება ბარბარს, თორემ ნახევრად სომეხიც რომ იყოს კაცი, რატომ უნდა ეძრახებოდეს სომეხობა?! და საერთოდ ვისზე ნაკლები ერია უძველესი სომეხი ერი?! ასეთი სიმართლით გასურთ დემოკრატიული საქართველოს აშენება?! ჩვენ კი გვეჩვენება, რომ დამონ...კრატიული

საქართველო გირჩენიათ და ამიტომაც ედებით ლობე-ყორეს!..

რაც ყველაზე და ყველაფერზე უფრო შემზარავია, მსოფლიო გლობალიზაციის მესვეურთ ჩვენივე ეთნოსის წარმომადგენლები ჩაუთრევიან საკუთარი მშობლის (სამშობლოს) წინააღმდეგ. „თავისუფლების ინსტიტუტის“ ქურქში გახვეულ ქართველ ადვოკატებს ოცდაათ ვერცხლად აქიაქიებინებენ ეროვნული იდეებს. არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვით მთავრობაშიც და პარლამენტშიც ლაღად გრძნობენ თავს და გულზე მჯილის ცემით გვემუქრებიან: ჭკუას მოგეთ, სანამ დროა, თორემ... საერთაშორისო სავალუტო ფონდი და, საერთოდ მსოფლიოს საფინანსო ორგანიზაციები კრედიტებს შეგვიწყვეტენ და შიმშილით ამოიხოცებთო!.. სწორედაც რომ ეგრე — ამოიხოცებითო! თავიანთ თავს არ თვლიან, რადგან უკვე აქვთ იმდენი „ნაჭამი“, სიკვდილამდე ეყოფათ საცოხნავად!..

თითქმის გავედი ბოლოში, მაგრამ ვატყობ, რაღაც ავლია ამ წერილს, რადგან მოიკოჭლებს, რაღაცნაირად ვერ ჯდება თანდროულობის კონტექსტში. სიძულვილის თაობაზე მეთანადრება გული. ვერაა ხერიანად წერტილდასმული. როგორც ბავშვობაში მსმენია, ვერ არის ჯავაში გამოყვანილი.

ჰო, საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტიები ბავშვისანოთ. საერთოდ, ოპოზიციონერი კანდიდატისგან ღვარძლი არ უნდა ბავშვიპირადეს, მაგრამ ასეთი დოზით?!

რა ღოგბე-ჭორბე არ მიადამოდო, რაბი არ მოროშა, აქაოდა რომორი ქართული ლაპარაკობსო! ფრანგული აქცენტი „არ ევასა“ (მიტომაც არ ირჩებდა ბარაკალა!).

ყურუშმალო, საზგასმული ძართული აქცენტი ლაპარაკობდა რუსულად იოსებ ჯუღაშვილი, მაგრამ კაციშვილს არ მოსწონია აზრად (ლენინა ბროგამტინის ბარაკა!), ენის უცოდინრობად მიიჩნია ეს.

გადაბახედა, მოდური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, შინი და მირა ძალბატონი სალომის ბაქრაშენი-სტევის და, თუ არ აღიარებენ მის უპირატესობას, გულში ხომა გაცოდინებოდა — ვინ უფრო ქართველია თუნდაც მინტალოგით, და ვინ უფრო ხელეწიფება კონსტიტუციონალიზმს ხელის დადებით ფიცის წარმოთქმა!..

იღბლად, დიდი ფრანგი მწერლის ალფონს დოდეს გამონათქვამი (კი არ მახსენდება, როგორც, სავარაუდოდ, თქვენ იტყობთ) ამომიწერია ოდესღაც: „სიძულვილი ნიღაბია, რომლის უკან არარაობა, ხანდახან კი გონებრივი სიმახინჯე იმალება; სიძულვილი სიკეთის, ჭკუის და ადამიანთა გაგების უკმარისობაა.“



„ფშავ-ხევესურეთისა და გუდაამყრის ინტერნეტიზაცია სოფლებში არსებულ ვითარებას უკეთესობისკენ შევცვალოთ“



„ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთისთვის, კერძოდ, ფშავ-ხევესურეთისა და გუდაამყრის ხეობებისთვის, რადგან მიგრაციის მაჩვენებელი ამ რეგიონში საკმაოდ მაღალია და ვფიქრობთ, აღნიშნული პროექტი შესაძლებლობას მოგვცემს, ვითარება უკეთესობისკენ შევცვალოთ“ — ამის შესახებ მთის სათემო ორგანიზაციის წარ-

მომადგენელმა ჯემალ დამაცალაშვილმა ტექნოპარკში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განაცხადა, რომელიც ფშავ-ხევესურეთის და გუდაამყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით ინტერნეტი დაიფარება ფშავის, ხევესურეთის, არხოტის, შატილის და არდო-

ტის, ასევე გუდაამყრის ხეობები, სულ 76 სოფელი — 496 ოჯახი, 1291 მუდმივი მაცხოვრებელი, მათ შორის 4 საშუალო სკოლა. ამასთან, მოეწყობა ფიქსირებული IP სატელეფონო ქსელი 50 აბონენტისთვის.

„ფშავ-ხევესურეთში ჩვენ გვაქვს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფლები, იქ მცხოვრებ მოსახლეობას არ გააჩნია არანაირი კომუნიკაციის საშუალება და მათ კავშირის დასამყარებლად 7-8 კილომეტრის გაგლა უწევთ. ეს პროექტი მობილური კავშირის და ინტერნეტის სერვისის გარდა, მოსახლეობას სახელმწიფო სერვისებთან წვდომის საშუალებას მისცემს, მათ შორის სამაშველო სამსახურებთან. აღნიშნული პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ტურისტების სერვისის განვითარებას და იქ არსებულ საოჯახო სასტუმროებს“, — განაცხადა ჯემალ დამაცალაშვილმა.

კუსთიდან ფულადი გზაპნიღაბი იქლავს, ეპროკაპოპირიდან კი იზრდება

2019 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზაპნიღების ნაკადების მოცულობამ 125.5 მლნ აშშ დოლარი (332.9 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 10.2 პროცენტით (11.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2018 წლის თებერვ-

ლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად რუსეთიდან ფულადი გზაპნიღების რაოდენობა იკლებს, ევროკავშირის ქვეყნებიდან კი იზრდება.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფაქილის მნარმოებელი კარმენისა და კარმენისა

ბორში შ.პ.ს „კარმენი“, რომელიც ფქვილის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიაა, მეორე დღეა, პარალიზებულია. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, „კარმენის“ თანამშრომლები გაიფიცეს. გაფიცვის მიზეზი, როგორც თავად ამბობენ, დაბალი ხელფასებია. დასაქმებულები ამბობენ, რომ პროტესტის გამო, კომპანია რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა. „კარმენის“ თანამშრომლები პროფკავშირებთან ერთად დღეს საპროტესტო აქციას გამართავენ და თავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენას და ხელფასების გაზრდას მოითხოვენ.



რად არის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ესოდენ განსაკუთრებული მონივნებისა და უფაქიზესი ფიქრის საგანი... რატომ დგას იგი, ესოდენ მჭიმუნვარე და იდუმალი, შთამომავალთა კულტურული ცნობიერების ეპიცენტრში...

რა იყო მისი სიცოცხლე, თუ არა რომანტიკული იდეალებით შთაგონებული ჭაბუკის ფერმიხილი ცხოვრება, რომელიც განმარტოების უამს თუ უბრუნდებოდა დაობლებული სულის წიაღს, რათა მისი სიღრმეებიდან ამოეზიდა ღვთაებრივ შანგებად ამოთქმული სევდა-მწუხარება თუ შორეულ ოცნებათა ნოსტალგიური ვენებანი...

ოდენ გულუბრყვილობაა, მიენდო და მიჰყვე მისი პროზაული ყოფიერების „გზა-ბილიკებს“ და იმ „დრამატული წიაღსვლებით“ აიღლელო გული, რომელიც მხოლოდ წვეთია შინაგანი ბოხოქარი ტალღებისა, რომელთა ექო მისი პოეზიის ძალთახმევით თუ აღწევს ჩვენამდე...

პოეტის პირადი წერილები უბინოებით აღბეჭდილი ჭაბუკის პიკანტური აქცენტებითა თუ ფილოსოფიური მოტივაციებით ნარმოქმნილი გზავნილია...

სიმპტომურია, რომ არსებითად ინტროსპექტია, ანუ საკუთარი სულიერი წიაღის რეპრეზენტაციაა მისი მედიტაციების ლაიტმოტივი, წყარო და სათავე...

სწორედ მისი ამ პიროვნულ-ინდივიდუალური სუბსტანციიდან „იბადებოდა“ ქართული პოეზიის თუნდაც ისეთი შედეგური, როგორცაა „შემოღამება მთანმინდა-ზედ“ – ეს ჭეშმარიტი ნიშნული ლირიკის ზე-ალმტაცი მშვენიერებისა, განცდის უნივერსალიზმისა და გრაციოზულიობისა...

იგი ლოცვად დაყვადებული რომანტიკოსის სულიერი კრისტალიზაციის უნიკალური გამოხატუებაა, ქრისტიანული რწმენით ამაღლებული ჭაბუკის მონოლოგია...

საგულისხმოა, რომ დრო-ჟამის „გაქვავებული სინამდვილე“ მისი პოეზიით ავლენს ყოფიერების ილუზიათა ტყვეობიდან თავდახსნისა და რადიკალური ტრანსფორმაციის ტენდენციას...

„მერანის“ ავტორის „დესტრუქციული“ ლტოლვის ჟინი, ანუ ბრუტალურ ბედისწერასთან ჭიდილის მისტერია, იმპერატიული მიზანსწრაფვითაა განმსჭვალული... ფანტასმაგორიულ წარმოსახვათა „ნებით“, იგი იმ „აღქმული“ რეალობისაკენ მიისწრაფვის, რომელმაც უნდა განაშოროს და დაავინყოს წარსულის ის თანამდევ ბედისწერა, სიყრმიდანვე რომ „მოუნამლავს“ მისი უმანკო სულის კვეთებანი...

პოეტური ენის ექსპრესია აქ, ამ დიდ ლექსში, აპოგეას აღწევს და მთელი გრანდიოზულობით წარმოსახავს ონტოლოგიური მწუხრის უნივერსალიზმსა თუ ეგზისტენციური თავისუფლების დეკლარირებულ ნებას...

ჩვენ ვიცით, რომ იგი „უიღბლო“ სიყვარულის განცდებზე, ელაციცებოდა... თუმცა თვით ამ ყოვლისმპყრობელმა გრძობამაც კი ვერ „ჩაკლა“ მასში პიროვნული თვითშემეცნების დაუძლეველი წყურვილი და სიმძაფრე...

მას, ვითარცა საკუთარი სულის იდუმალი ლაბირინთების „მკვიდრს“, სიყვარულის ოდენ არა სენსუალურ-ზორციელი, არამედ სულიერი, სპეტაკი და ფაქიზი ხატი ალაფრთოვანებდა, რომლის უნატიფეს გრძობათა „ჩუქურთმებით მოვარაყებულ ჩარჩოს“ სიღრმიდან პოეტი-მიჯნურის რომანტიკული სუბსტანცია უნდა წარმოიქმნელიყო...

უნიკალურია მისი პოეზიის სტილური ინგრედიენტები, მისი არქაიზებული პლასტების მოადიფიცირებული გამოვლინებანი... პოეტური მეტყველების კავშირები ბიბლიასა და ქართულ ჰიმნოგრაფიასთან...

არსებითია ის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსმა ევროპული პოეზიის ცხადად გამოხატული რომანტიკული ტენდენციები, ანუ დასავლური კულტურის იდეოლოგიური კონტექსტები აქცია ეროვნული მხატვრული ცნობიერების აქსიომატურ დისკურსად და ამით ახალი ლირიკული ენერგიით განმსჭვალა მისი მომავალი...

„ჩემი აზროვნება განუყოფელ კავშირშია ჰელდერლინის პოეზიასთან, – წერდა მარტინ ჰაიდეგგერი, – მე მას მივიჩნევ არა იმ ერთ პოეტთაგანად, რომლის შემოქმედება სხვებთან ერთად უნდა შეინაველოს ლიტერატურის ისტორიკოსმა. ჩემთვის ჰელდერლინი პოეტია, რომელიც სჭერებს მომავალს და ელის ღმერთს და რომელიც ღირსია, არ იქცეს მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურული კვლევების საგნად“...

ვფიქრობ, გერმანელი ფილოსოფოსის ამ რეცეფციის პროტაგონისტის ანალოგი ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენია,

სიკვდილთან დაქორწინებით იბადება სელოგნის ცნობიერი უკვდავება...

რამეთუ მასშიც სწორედ ღვთაებრივისა და ემპირიულის სინერგია იქცა პოეტური ცნობიერების მატრიცად... ლოგოსისა და ღმერთის იდეით შთაგონებულ გამოხსივებათა ლაიტმოტივად...

ისიც სიმპტომურია, რომ სწორედ „მერანის“ ავტორის უშუალო მეტყვიდრებად წარმოიდგინებინა ეროვნული სულიერების ისეთი გიგანტები, როგორც ილია და გალაკტიონია...

მიმართვა უზადო მგალობელი – აკაკი წერეთელი ბრწინვალად იცნობიერებდა, რომ შთაგონებათა ნეტარ „სიოს“ მინდობილი პოეტი უზენაეს სათნობათა უხვად გამცემი ანგელოზი, სულიერების „ჩირაღდანი“



და საგანთა ბუნების მესაიდუმლეა...

თუმცა, ისიც კარგად იცოდა, რომ საერთო-ეროვნული ტკივილებისა და მწუხარებათა უამს სამშობლოს უფრო მეტად გულანთებული ჭირისუფალი სჭირდებოდა...

აქედან იღებდა სათავეს მისი უმძაფრესი კრიტიკული აქცენტებით აღბეჭდილი მოქალაქეობრივი ლირიკის ინვექტივები თუ შეგონებანი...

აკაკი, როგორც უფაქიზესი ლირიკოსი და აკაკი – მრისხანე, უკომპრომისო და გამძლეავრებულ უკეთურებებთან მორკინალი...

პირადი ცხოვრება მისი ოდენ სინქრონშია მისივე პოეტურ ქმნილებათა ნარატივთან, მათში განსახიერებულ დრამატულსა თუ პიკანტურ მოვლენებთან, რომანტიკულსა და რეალისტურ მოდულაციებთან... სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულს აღ-

მერთებდნენ, მის სიტყვას საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ... თუმცა, დროდადრო ივიწყებდნენ, საკუთარ პრობლემებთან მარტოდ დარჩენილი აღარ ახსოვდათ და მხოლოდ „უცრემლო ჭირისუფლის“ როლით კმაყოფილდებოდნენ...

ის თავისში „აცოცხლებდა“ რეალობასთან დამოკიდებულების უნივერსალურ არტიკულაციებს, „შეეძლო“ ჰყოლოდა უღრმესი თაყვანისმცემელიცა და მოშურნე მტერიც... ყოფილიყო დრო-ჟამის პროტაგონისტიცა და ჩვეულებრივი მოკვდავიც... სამშობლოს უბედობით შეძრულსა და მგლოვიარეს ევაბოდა და მასთან ერთად გამოეტირა საკუთარი თავიც...

შემოქმედთა თაობები იზრდებოდნენ და „ფრთებს შლიდნენ“ მის „ჩრდილქვეშ“, მისგან შორს გაფრენილნიც კი მას უბრუნდებოდნენ, რათა კვლავ მასში ეპოვათ განახლებისა და აღორძინების „ელექსირი“...

პოეზიის სრულუფლებიანმა მეუფემ ილიასთან ერთად საკრალური მნიშვნე-

სიცოცხლის მიმწუხრის „სცენარში“ – დრო და სივრცის მაპროგოტირებელი დისკურსი, თუ მიკრომოვლენათა დრამატული დინამიკა, იმ მძლავრ ინსპირაციად იქცა, რომელთაც კიდევ ერთხელ უბიძგეს პოეტის თანამდევ „სიკვდილის ანტილის“, ან უკვე რეალურად აღესრულებინა ბედისწერის განაჩენი და მარადიულ ლეგენდად ექცია ის, ვინც განუყოფელ მშვენიერებად გარდასახა სამყაროს ხილულ თუ უხილავ „უეფემერათა“ ჯადოსნური სილუეტები... ვინც თავისი სულიერებით შეინივთა, ააღორძინა და განასრულა



ლა ერთი განუმეორებელი ეპოქა ქართული პოეზიისა...

ვინაც სრულიად კანონზომიერად განიანილა XX საუკუნის მსოფლიო პოეტური კულტურის უდიდეს ავტორიტეტთა კოლოსალური ღირსებანი...

ოთარ ჭილაძის რომანების ლაიტმოტივი ადამიანისა და დროის კონცეფციის ონტოლოგიური წვდომა და ერთიან იდეურ-მხატვრულ სისტემად სინთეზირება...

საგულისხმოა, რომ ამ პროზაულ ტექსტებში, ყოფიერების დისკურსი წარმოგენილია არა ცივილიზაციის პომპეზური ლამპრონების, არამედ ჟამთა მწუხარე დაისების რომანტიკული კოლორიტით შეფერილ გამოხსივებათა ფონზე...

მხატვრულ ნარატივთა ამგვარი მოდელირება კიდევ უფრო ღრმად და შთამბეჭდავად წარმოაჩენს ცხოვრების უსიერ სივრცეებში „მოხეტიალე მარადიული მგზავრის“ – HOMO SAPIENS-ის სავალ გზაბილიკთა რომანტიკას...

სიმპტომურია, რომ ნოსტალგიაა ამ ზოგადი პოლიგრომის ძიებათა სამოტივაციო სიმპტომი... ნოსტალგია ან დაკარგული წარსულისა და სამუდამოდ გაუჩინარებული თუ გადავიწყებული ფესვებისა...

საუკუნეებით შეთვისებულმა გამოცდილებამ მასაც ასწავლა ნოსტალგიის იდუმალი სიბრძნე, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა იგი სულის გადარჩენის ინსპირაციად და ყოფიერების ფილოსოფიურ პარადიგმად, ანუ იმ შინაგანი ჰარმონიის გარანტიად, რომელიც დესტრუქციულმა სინამდვილემ დაურღვია...


სულიერი მყოფობის ამ სტადიაზეა წარსული ქარიზმატული, მოლოდინითა და ხსოვნის უფართოესი დიაპაზონით აღბეჭდილი, ანუ უხვი და მდიდარი იმ ეგზისტენციური პარადიგმებით, – ნიცშეს „გენეალოგიასა“ და მიშელ ფუკოს „ცოდნის არქეოლოგიაში“ რომ არის გამოვლენილი...

მწერლისათვის ამ მრავლისმეტყველი დისპოზიციის, ანუ ეგზისტენციური ჭჭრეტის უამს ცნაურდება უნაყოფო ანმყოს ფარული პოტენცია და განუზომლად იზრდება ისტორიული ცნობიერების როლი... კრეატიულნი არიან მწერლის პერსონაჟები...

ისტორიულ ცივილიზაციათა დინამიკა მათში ოდენ უნივერსალური პარადიგმებით შეიმეცნება და სწორედ ამ კონცეფციიდან ვლინდება ოთარ ჭილაძისეული მსოფლალქმის რელევანტური დისკურსი – ძიება ყოფიერების იმ იმანენტური საფუძვლებისა, რომელთა შთაგონებითაცაა შესაძლებელი, იცხოვრო ამ ქვეყნად და იყო იმავ დროს მასთან შეურბეველი...

ერმიტაჟის აღმოსავლური განყოფილების მსველი და პეტერბურგელი ქართველები

აპადემიკოს იოსებ ორბელიანს რთული ხედვები ხვდა წილად — იგი ერმიტაჟს იმ წლებში თავსაცობდა, როცა მთავრობა ძვირფასეულობათა უნიკალურ ნაკრებს გეგმაზომიერად არბევდა, მუზეუმის შედევრებს საზღვარგარეთ ყიდდა.



იოსებ ორბელიანი

როცა საფრთხეში ირანული ვერცხლის ფასდაუდებელი კოლექცია აღმოჩნდა, იოსებ ორბელიანი, რომელიც იმხანად მუსლიმური შუა საუკუნეების განყოფილების ხელმძღვანელი გახლდათ, სტალინის მისწერა წერილი, რომელზეც პასუხი მიიღო: „მატიცვე მულო ამხანაგო ორბელი! შემონებამ აჩვენა, რომ „ანტიკვარიატის“ განაცხადი დაუსაბუთებელია. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისმა ინსტანციამ დაავალა ნარკომენსტორგსა და მის საექსპორტო ორგანოებს ხელი არ ახლონ ერმიტაჟის აღმოსავლეთის სექტორს. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი შეიძლება ამონურულად ჩავთვალოთ“.

თუმცა, დამცავი სიგელი ფერწერას არ ეხებოდა და ერმიტაჟმა მაღალი აღორძინების ოსტატების ბევრი უძვირფასესი ტილო დაკარგა.

აღმოსავლური განყოფილების დასაცავად მაგრად რომ დადგა, იოსებ ორბელიანი ჭეშმარიტი მეცნიერის საკადრისად მოიქცა. არქეოლოგი და ისტორიკოსი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი იოსებ ორბელიანი ჩვენი თანამემამულეა. იგი 1887 წელს ქუთაისში, სომეხი მღვდლის აბგარ ორბელიანის და თავადის ქალის ბარბარე არლუტინსკი-დოლგორუკაიას პირში გახლდათ. ტიფლისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც იქაური უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური და აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტები დაამთავრა. 1934-1951 წლებში იგი სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი იყო. 1941-1942 წელს იგი ერმიტაჟის, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის

გაბრძენა. დასაწყისი № 48, 50

ლენინგრადის დაწესებულებათა დაცვასა და ევაკუაციას ხელმძღვანელობდა. 1944 წელს ფაშისტების მიერ ლენინგრადის გარეუბნების სასახლეებისადმი მიყენებული ზარალის გამოკვლევი საგანგებო კომისიის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას, ასევე მუშაობდა ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის ექსპოზიციის აღდგენით სამუშაოებში.

იოსებ ორბელიანი, რომელიც ნიკო მარის მოწაფე იყო, სტუდენტობის ხანიდან მოყოლებული მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში სომხეთსა და თურქეთში. მთელი რიგი მისი შრომებისა მიძღვნილია შუა საუკუნოვანი კულტურისადმი, სომხური ეპიგრაფიკისადმი, ხალხური ეპოსისადმი, ქართული ენისადმი, საქართველოსა და სომხეთის არქიტექტურისადმი. მეცნიერი აღმოსავლეთმცოდნე ასევე დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, შექმნა კავკასიის მცოდნეთა სკოლა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მატერიალური კულტურისა და ფილოლოგიის შერწყმა.

ბასული საუკუნის დასაწყისის პეტერბურგის წარმოდგენა შეუძლებელია დეკადენტი ზინაიდა გიპიუსის და დიმიტრი მერვეკოვსკის გარეშე, რომლებმაც ერთმანეთი ბორჯომში გაიცნეს, ხოლო ჯვარი თბილისში დაინერეს. ასევე „ახალგაზრდა ქართველის“ — ოსიპ მანდელშტამის გარეშე, რომელმაც ეს თიკუნი ახლო მეგობრების წრეში იმპულსურობისა და ემოციურო-



ზინაიდა გიპიუსი და დიმიტრი მერვეკოვსკი

ბის გამო მიიღო. იმ წლებში საქართველო ახლო და საყვარელი ქვეყანა იყო რუსეთის კულტურის მოღვაწეთათვის.

პეტერბურგელ ქართველ გამოჩენილ მეცნიერთა მთელმა პლეადამ, რომელმაც ას წელზე მეტი ხნის წინათ თბილისში, ამიერკავკასიაში პირველი უნივერსიტეტი დააარსა, პეტერბურგის სამშობლოს მსახურების გულისთვის დატოვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მამა-დამაარსებლები საქართველოში სამეცნიერო — ენათმეცნიერების, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, მედიცინის სხვადასხვა მიმართულების სკოლის ფუძემდებელი გახდა, მაგრამ რუსეთის ყოველ დედაქალაქში, 20-30-იანი წლების იმხანად უკვე ლენინგრადში, ქართველები კვლავაც დიდ როლს ასრულებდნენ მის კულტურულ ცხოვრებაში. ლენინგრადის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ზეპირსიტყვიერების განყოფილების კურსდამთავრებულმა ირაკლი ანდრონიკოვმა 20-იანი წლების შუახანებში მიხეილ ლერმონტოვზე სამეცნიერო შრომების წერა და ზეპირი გამოსვლები დაიწყო, რომელთა წყალობით დიდი სახელი მოხვეჭა.

კიროვის (ყოფილი მარიინის) თეატრის სახელგანთქმულ სცენაზე მეფობდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც დღესაც ბალეტის სწორუპოვარ, მსოფლიო მასშტაბით ნომერ პირველ მოცეკვედაა მიჩნეული. 50-იანი წლებიდან მოყოლებული კი გიორგი ტოვსტონოგოვის ხელმძღვანელობით ლენინგრადში დიდი დრამატული თეატრის ვარსკვლავი ბრწყინებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ შემდგომში, კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ — თემურ ჩხეიძემ ამ თეატრის უმაღლესი თამაშის შენარჩუნება შეძლო.

მომამადა ოთარ ტურაბალიძე

ნიგნი

ეს ერთი ხანია, მკითხველი ინტერესით ელის სერიით „ქართველი მეფეები, პატრონი და მსახური ქვეყნისანი“ გამოცემულ ნიგნებს (გამომცემლობა „პალიტრა“. პროექტის ხელმძღვანელი ვაზა სამუშია), რაც უთუოდ სამშობლოს ისტორიის ცოდნის წყურვილის გაღვივების შედეგია. ჩაფიქრებულია სულ 24 ტომის — 24 ხელმწიფის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის აღწერა-შეფასების დაბეჭდვა.

ნაწილი გათვალისწინებული ნაშრომებისა უკვე მიიღო მკითხველმა, ახლახან, სულ ბოლოს — „მირიანი“. მისი ავტორია ანტიკური პერიოდის ცნობილი მკვლევარი (იგი ავტორია ვრცელი მონოგრაფიებისა „რომი“, „საბერძნეთი“), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრანი ქავთარია, რომელიც წლებების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრას. ამ სერიით მან უკვე გამოსცა ნიგნი ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის შესახებ, რომელშიც საყურადღებო მიგნებები შემოგვთავაზა.

მირიანი ქართლის (იბერიის) უკანასკნელი წარმართი და პირველი ქრისტიანი მეფე იყო IV საუკუნის I ნახევარში. მისი ხელმწიფობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. ეს იყო ხანა, როდესაც ქვეყნის ბედს წყვეტდა მრისხანე დამპყრობლის თავს მოხვეული რეჟიმი. ერთმანეთს უპირისპირდებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი: აღმავლობის გზაზე მდგარი სასანიდური სპარსეთი და კრიზისით და-


მირიანი - ქართლის უკანასკნელი წარმართი და პირველი ქრისტიანი ხელმწიფე

სუსტებული რომის იმპერია. „მოქცევა ქართლისანი“ მიხედვით მირიანის მამა იყო მეფე ლევი, თუმცა მეფეთა ქრონოლოგიურ სიაში ლევი ხსენებული არ არის. „ქართლის ცხოვრება“ კი მირიანს პირველი სასანიანი შაჰის ძედ მიიჩნევს, რომელიც ერისთავებმა ჩამოიყვანეს უძეოდ გარდაცვლილი მეფე ასფაგურის ასულის მეუღლედ.

ქართულ საისტორიო მწერლობაში მირიანი დახატულია მძლავრ საერო და სასულიერო ფიგურად, რომელმაც ქრისტიანობა აღიარა და სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

მემატინანეს „უცხოელი“ მირიანის ქართლში გამეფება განხილული აქვს, როგორც იძულებითი ქედის მოხრა სპარსეთისადმი, ოღონდ გარკვეული პრივილეგიების შენარჩუნებით, მაგრამ შემდეგ ქართულმა სულიერებამ არნახულ სიმაღლეს მიაღწია, რამაც დაჩრდილა მირიანის ოდინდელი „ცოდვა“: ლეონტი მროველის მტკიცებით სპარსი უფლისწული ჩამოყალიბდა ქართველად და ქართველთა მოყვარედ.

როცა მირიანი 15 წლის გახდა, ცოლი მოუყვდა და დედოფლად მიჰგვარეს ბერძენი ასული ნანა. მირიანმა იწყა ბრძოლა



ჩრდილოკავკასიელთა, ანუ ანტიკური ავტორების მიხედვით — ალანთა და სარმატთა, გვიან პერიოდში დამკვიდრებული ტერმინით კი ხაზართა წინააღმდეგ, კავკასიური ხაზის დაცვის მიზნით (ხაზარების შემოსევების მოგერიების აუცილებლობა მემკვიდრეობით გადმოცემოდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეფეებს. მირიანიც მთელი შემართებით იდგა კავკასიონის გადმოსასვლელების მტკიცე მცველად). 297-298 წლებში გაიმართა რომაელთა და სპარსელთა დიდი

ომი, რომელშიც სპარსეთი და მისი მოკავშირე ქართლი დამარცხდნენ (ქართლის სპარსეთს ჰქონდა დაპყრობილი და ამიტომ მისი „მოკავშირე“ იყო). მირიანმა რომის იმპერატორს ელჩები გაუგზავნა, მსახურება აღუთქვა და დაუზავდა. იმპერატორმა დაადგინა საზღვრები ქართლსა და სომხეთს შორის, რაც მანამდე ყოველთვის იყო შფოთის მიზეზი.

ამ ამბის თხრობას ავტორი გრანი ქავთარია აზუსტებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას იმის შესახებ, რომ იმ ომის დროს რომის იმპერატორი იყო დიოკლეტიანე და არა, ისტორიულად მისი შემდგომი კონსტანტინე დიდი, ამას ხსნის მემატინანის სურვილით, მატინანეში გამარჯვებულად არ მოიხსენიოს ქრისტიანობის დამრბევის და მდევნელის, მწამებლისა და მტანჯველის დიოკლეტიანეს სახელი, „ჩაანაცვლოს“ იგი წმინდა კონსტანტინეთი. ამრიგად ქართლი რომაელთა გავლენის სფეროში მოექცა, ამას მოჰყვა ცვლილება სულიერების სფეროშიც, რაც საბოლოოდ ქართლის გაქრისტიანებით დაგვირგვინდა — ქართლში ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება სწორედ მირიანის ზეობის წლებში მოხდა IV საუკუნის 30-იან წლებში.

ფულზე

მსოფლიოში მნიშვნელოვანი ტიპია. ერთი მილიონე-რია, რომელიც ვარაუდობს, რომ რაც უფრო მეტ ფულს აგროვებს, როგორც ნამდვილი ძალაუფლება უგროვდება, მეორე ღარიბი რეფორმატორია, რომლის ვარაუდით, თუ ფულს ერთ კლასს წარმოემს და მეორეს გადასცემს, მსოფლიოს ყველა სატკივარს განკურნავს. რად უნდა თქმა, ორივე ცდებო.

ფული სხვა არა არის რა, თუ არა წარმოების იარაღი. მნიშვნელობა არა აქვს, 100 ათასი დაზგა გაქვს თუ 100 ათასი დოლარი. დაზგებს საქმის გამოსწორების ისევე ცოტა უნარი აქვთ, როგორც ფულს. საქმეს უშველის მხოლოდ ტვინი, სადი აზრი და სიყოჩაღე.

თუმცა ფული მსოფლიო სიმდიდრეს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს სიმდიდრე მუდამ ფულზე მეტია და, მიუხედავად იმისა, არცთუ იშვიათად ფულის ტყვეობაშია. ამას შეუსაბამო პარადოქსთან მივყავართ: მსოფლიო ყელამდეა სიმდიდრით და მაინც გაჭირვებულია.

სიმდიდრე ფულით არ ამოიწურება, ოქრო როგორც ასეთი, ფასეული საქონელი არ არის. ოქრო არც სიმდიდრეა, როგორც შლაპის შეკვეთა არ არის შლაპა.

რომელ ვითარებაში ნასესხები ფული იმ ლოთსა ჰგავს, მეორე ყლოუს პირველის მოქმედების გასაძლიერებლად რომ აყოლებს. მიზნებს ხარვეზების დასუფთავება-დაკემსვა ასტერ უფრო ხელსაყრელი და სარგებელიანია, ვიდრე 7 პროცენტად აღებული რაგინდარა კრედიტი.

სამუშაოს მაგივრად ჯერ ფული იწევს წინ, რაც სამუშაოს ამხურუჭებს და აკნინებს შრომის მნიშვნელობას.

სამუშაო კი არა, ფულზე ზრუნვას წარუმატებლობის შიში სდევს. ეს შიში გამორიცხავს საქმის მიმართ სწორ მიდგომას, თანაც კიდევ გვაძიულებს, რომ გვემინოდეს კონკურენტის, ახალი ტექნოლოგიების და საერთოდ ყველა იმ ნაბიჯის, საქმის მდგომარეობას რომ ცვლის.

ფული ჩვეულებრივ დროს ფრიალს სასარგებლოა, მაგრამ თავისთავად ნაკლებად ფასეულია, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ფულის მეოხებით ემშობიან წარმოებაში.

საგნის ფულის ცვლით ვაჭრობა ფრიალს სარგებლიანი საქმეა, მაგრამ, როგორც კი ფული ვაჭრობის საგანი ხდება, ვიდრე რეალური ფასეულობანი გაიყიდებოდეს ან გაიყვლებოდეს, ქორვაჭრები წარმოებიდან პროცენტის აღების უფლებას იღებენ.

მწარმომ, თავისი ბუნებისა თანახმად, ხან უნდა დაკარგოს ფული.

ფული ზუსტად იმდენი ღირს, რამდენიც შეიძლება რომ იმ ფულით ვიყიდოთ (ან ვაწარმოოთ), და არა მეტი.

უკეთეს იმათი ფული ხმარდება განაწილების გაძნელებას, მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის ბარიერების აღმართვას, მაშინ ისინი ნამდვილი მავნებლები არიან, რომელთაც ვერაფერ გაქრობა უწევიათ, როგორც კი ფული უკეთესად შეგუებული აღმოჩნდება შრომისეულ ურთიერთობებს. ეს კი მაშინ მოხდება, როცა ყველა შეიგნებს, რომ შრომა და მხოლოდ შრომა გაგვიყვანს ჯანმრთელობისკენ, სიმდიდრისკენ და ზედსივინობისკენ გაჭრილ გზაზე.

ნარკობა და განათლება

ჰენრი ფორდი მთელი თავისი ცხოვრება თვითგანვითარებას ეწეოდა. მხოლოდ სასკოლო განათლებამიღებული, ცხოვრების ბოლომდე იგი შეცდომებით წერდა, მაგრამ ამას სერიოზულ პრობლემად არ მიიჩნევდა. სამავთილოდ, ცუდად არ ერკვეოდა საბუღალტრო საქმეში და რაცხდა, რომ იმაზე უკეთესი გზა არა არის რა, ვიდრე „საკუთარი თავით ფიქრი“. ეს იმის ცხადი დასტურია, რომ არა მართო განათლებას მივყავართ წარ-

გაბრძენება. დასაწყისი №52



მატებასთან. ჰენრი ფორდი - კაცი-ლეგენდა - ამის არცთუ ცუდი მაგალითია.

ადამიანი იღვწის წარმატებისთვის, ყოველ ღონეს ხმარობს წინააღმდეგობათა დასაძლევად და მთელ უნარს ახმარს სხვა ადამიანების მოთხოვნილებათა სამსახურს. ადამიანების უმრავლესობა წარმატებაზე ფიქრობს როგორც რაღაც ისეთზე, რასაც მიღწევა უნდა. სინამდვილეში კი წარმატება უკუგებით იწყება.

წარმატების მუდამი უწინარესად მზადყოფნაა.

306ს სწავლას თავი მიაგნა, ის მოხუცია - გინდა 20 წლისა იყვეს, გინდა 80 წლისა.

თუკი მართლა არის წარმატების რაღაც მუდამი, ის იმის უნარშია, რომ შეგეძლოს სხვა ადამიანის თვალსაზრისის გაზიარება და საგანთა დანახვა იმ ადამიანის თვალთახედვით ისევე კარგად, როგორც შენი თვალთახედვით დაინახავდი.

იმისდა მიუხედავად, რას ფიქრობ, წარმატებას მიაღწევთ თუ ვერ მიაღწევ, შენ მაინც მართალი ხარ.

„ჩხოს ახ უყვას, ხოცა თუჭად ნახჯაუნ“ ასე ამბობდა ჰენრი ფორდი ქართულად გადმოაქვს გურამ გოგიაშვილმა

წარმატებული ადამიანები წინ გაიჭრებიან ხოლმე იმ დროის გამოყენებით, რომელ დროსაც სხვანი ფუჭად ხარჯავენ.

უკეთეს ყველანი ერთად მოძრაობენ წინ, მაშინ წარმატება თვითონ ზრუნავს თავის თავზე.



მარასოდეს მალა ვერ აიწევს ის ადამიანი, ვინც იმას არ აკეთებს, რასაც ეუბნებიან და ვერც კიდევ ის, ვინც იმაზე მეტს არ იქმს, რასაც ეუბნებიან!

ერთად შეკრება დასაწყისია, ერთად დარჩენა პროგრესია, ერთად მუშაობა უკვე წარმატებაა.

გიუნისა და სემუშაოვა

ჰენრი ფორდი მავშობიდანვე შრომაში იყო და არაერთი ხელობა ათავისა. თავდაპირველად თავიანთი ოჯახის ფერმაში მუშაობდა, 16 წლისა კი ინჟინერ-მექანიკოსია, მერე მთავარი ინჟინერი, შემდეგ საავტომობილო კომპანიის თანამფლობელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მოკლა არა ჰქონდა, მთელ თავისუფალ დროს ავტომობილის გამოკვლევას ახმარდა. მალე თავისი კომპანია გახსნა და XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მეწარმე გახდა. მან კარგად უწყოდა, სად უნდა ჩაედო ფული, რათა ფულს კარგი შემოსავალი გაეჩინა: რეკლამა, ხელმისაწვდომი ავტომობილი და გუნდი. მართალია, ფორდის ზოგიერთი გამონათქვამი, ცოტა არ იყოს, „მოუხეშავია“ და არც კადნიერება აკლია, მაგრამ მაინც დღესაცამოდე აქტუალურია.



ილზლიანი ბანკირი საშუალოდ ნაკლებად გონიერია და წინდახედული, ვიდრე ილზლიანი მეწარმე, და მაინც, ბანკირი პრაქტიკულად ბატონობს საზოგადოებაში მეწარმეზე კრედიტზე ბატონობის საშუალებით.

სამართო სარგებლობის საშუალო გამორჩენაზე მალა დააყენე.

მხოლოდ ორი რამ მიძვი ამუშავებს ადამიანთ: ხელფასის წყურვილი და ამ შემოსავლის დაკარგვის შიში.

მიზნის, რომელიც ფულის გარდა არცრას აწარმოებს - ფუჭი მიზნისა.

მე არასოდეს არ ვამბობ: „მე მჭირდება, რომ თქვენ ეს გააკეთოთ“. მე ვამბობ: „მე გულისხმაში ჩახვედრა მინდა, შეძლებთ თუ არა შენ ამის გაკეთებას“.

მიღწე მშენებლობას დაეწეებოდე, თავდაპირველად ჯერ გეგმას ვხაზავ, რომელიც ყველა დეტალი ბოლომდე დამუშავებული, სხვაგვარად მუშაობის დროს უამრავი მასალა იხარჯება სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობაზე, ხოლო ბოლოს და ბოლოს ცალკეული ნაწილები ერთმანეთის მიმართ არაა შესაფერისი გამოდგება. მეფერი გამომგონებელი იმის გამო ვერ წარუმატება, რომ ისინი ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ გეგმაზომიერ საშუაოს და ექსპერიმენტორებას.

ის წუთები, რომელთაც კონკურენტებს ვუთმობთ, საზარელია საკუთარი საქმისთვის.

ხარისხიანი შრომა ის არის, როცა საქმეს სწორად ვაკეთებთ უზედამხედველოდ.

ხელფასის დამსაქმებელი არ იძლევა, ის მხოლოდ ანაწილებს ფულს. ხელფასის კლიენტი იძლევა.

ალმა და იკითხო: „ვინ უნდა იყოს ბოსი?“ - იგივეა, თუ იკითხავ: „ვინ უნდა იყოს ტენორი ამ კვარტეტში?“ რასაკვირველია, ის უნდა იყოს, ვისაც ტენორით სიმღერა შეუძლია.

უკეთეს ვინმესგან ითხოვთ, რომ მან მთელი თავისი დრო და ენერჯია საქმეს მოახმაროს, მაშინ უნდა იზრუნოთ, რომ ის არცრა ფინანსურ სიმწიფეს არ განიცდიდეს.

მაინცადამინც მშვიდად ნუ აცხოვრებთ იმათ, ვინც თქვენთან მუშაობს. ფებს მკვიდრად ნუ მოაკიდებინებთ. მუდამ იმის საწინააღმდეგოდ მოიქეცით, რასაც ისინი თქვენგან მოულოიან. ცოტა ფახაცი უნდა ჰქონდეთ და თვალი ვერ უნდა გაგისწორონ.

უკეთესი გზით რომ მინდოდეს ჩემი კონკურენტების დახოცვა, ავდგებოდი და სპეციალისტების ურდოს მივუსვდი. უამრავი კარგი რჩევისგან თავბრუდახვეული ჩემი კონკურენტები საშუაოს ვეღარ მიპყოფდნენ ხელს.

მუშაობას და მხოლოდ მუშაობას შეუძლია ფასეულობათა შექმნა. სულის სიღრმეში ეს სუყველამ უწყის.

მეცდომას ნუ ეძებ; როგორ გამოასწორო, ის ეძებე.

მუშაობაში სახელის შექმნა მარტოოდენ განზრახვებით.

ანარმოდ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იათად იყილო და ძვირად გაყილო.

სამსახრში ბუნებრივია იმ შეგნებით მუშაობა, რომ მედსვიანობა და კეთილდღეობა მხოლოდ პატიოსანი შრომით მოიპოვება. ადამიანის უბედურება მნიშვნელოვანწილად ამ ბუნებრივი გზიდან გადახვევის ცდის შედეგია.

(გაბრძენება იძნება)

12 მარტს ბრიტანეთის პარლამენტმა ისევ უყარა კენჭი შეთანხმებას ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე და ისევ, როგორც წინა კენჭისყრის დროს, ამჟამადაც მთავრობის მიერ შეთავაზებული პროექტი ჩავარდა – 391 დეპუტატი აღმოჩნდა ამ დოკუმენტის რატიფიკაციის წინააღმდეგი, 242 კი მომხრე.

ეს უკეთესი შედეგია, ვიდრე იყო წინათ – ამჟამად სხვაობა მომხრეებს და მოწინააღმდეგეთა შორის შეადგენს 149 ხმას, მაშინ, როდესაც წინათ იყო 230. პროგრესი აშკარაა, თუმცა, ამ ტემპებით, ბრიტანეთი უახლოეს წლებში ვერ გავა ევროკავშირიდან.

სამთავრობო პროექტის მხარდამჭერთა შორის იყო 235 დეპუტატი – კონსერვატორი, 4 უმარტიო და 3 – ოპოზიციონერი-ლეიბორისტი. ტერეზა მის შემთავაზებულ ვარიანტს უარი უთხრა 238-მა ლეიბორისტმა, 75 კონსერვატორმა, შოტლანდიის ეროვნული პარტიის დეპუტატმა, ჩრდილოეთ ირლანდიის დემოკრატიული პარტიის 10 წევრმა და მცირე ოპოზიციური ფრაქციების დეპუტატებმა.

მარცხის შედეგ პრემიერ-მინისტრი ტერეზა მის გამოვიდა სიტყვით პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატის წინაშე და დააანონსა კენჭისყრა უკიდურეს ვარიანტზე – ევროკავშირიდან შეთანხმების გარეშე გასვლის თაობაზე. ამ პროექტის მხარდამჭერის შემთხვევაში ქვეყანა დატოვებს ევროკავშირს 29 მარტს.

თუ ვერც ეს წინადადება გავა, დეპუტატებს მოუწევთ კენჭისყრა ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე ბრიუსელთან მოლაპარაკებების გახანგრძლივების ინიციატივასთან დაკავშირებით. ამ ვარიანტის მიღების შემთხვევაში, ბრექსიტის გადავადებაზე უნდა დათანხმდეს ევროკავშირის 27-ვე ქვეყანა.

ევროკავშირიდან შეთანხმების გარეშე გასვლა – ეს არის ვარიანტი, რომელიც ლონდონში აშინებს ყველას, რადგანაც ის გამოიწვევს გაერთიანების ფარგლებში არსებული ყველა შეღავათის უპირობო გაუქმებას, რაც მოახდენს სერიოზულ ნეგატიურ ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომაც, ამ ვარიანტს ყველა გაურბოდა ბოლო მომენ-



პოლიტიკური აჯანყებადი ბრიტანეთში

ტამდე, თუმცა, უკან დასახევი გზა არ დარჩა – თუ ინგლისელებს სურთ გაერთიანებიდან გასვლა, ისინი უნდა იყონ მზად შესაძლებელი სერიოზული გართულებებისთვის.

თავად ევროკავშირს დიდად არ მოსწონს გადავადების პერსპექტივა. მაგალითად, ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ დედლაინის გაგრძელება შესაძლებელია იყოს პრობლემური, რადგანაც 23-26 მაისს ტარდება ევროპარლამენტის არჩევნები.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, გაერთიანების ყველა წევრ-ქვეყანას უნდა გააჩნდეს წარმომადგენლობა საკანონმდებლო დონეზე, შესაბამისად, თუ ბრექსიტი არ განხორციელდება მისამდე, ბრიტანეთს მოუწევს არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ტერეზა მის თქმით, დეპუტატები უნდა დაფიქრდნენ შემდგომ ნაბიჯებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებითი დრო მოსალაპარაკებლად ფუჭად დაიკარგება.

შესაძლებელი ვარიანტებს შორის პრემიერ-მინისტრმა დაასახელა ბრექსიტის გაუქმება, განმეორებითი რეფერენდუმი და ევროკავშირიდან გასვლა მთავრობის მიერ შეთავაზებული განსხვავებული პირობებით.

ამავე დროს მთავრობის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ ტერეზა მის არ გემგავს არსებულ ვარიანტში რაიმე შესწორებების შეტანას.

„ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ დავარწმუნოთ დეპუტატების გარიგების მიღების აუცილებლობაში, – ნათქვამია განცხადებაში.“

ბრექსიტის საკითხების კომისიაში ევროკავშირის წარმომადგენლის მიშელ ბარნიეს თქმით, გაერთიანებამ გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ დაეხმაროს ტერეზა

მის შეთანხმების მიღწევაში. მან აღნიშნა, რომ არსებული პრობლემების დაძლევა შეუძლია მხოლოდ ბრიტანულ მხარეს და, მისი თქმით, სასურველია, ევროკავშირმა დღევანდელი იზრუნოს იმ ზომებზე, რომლებიც შეამცირებენ ბრიტანეთის ევროკავშირიდან შეთანხმების გარეშე გასვლით გამოწვეულ ნეგატიურ გავლენას. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯერემი კორბინმა ტერეზა მის მიმართა მოწოდებით – „აღიარეთ, რომ ეს პროექტი მკვდარია და ის არ სარგებლობს პარლამენტის მხარდამჭერით“.

მისი თქმით, მომავალში მთავრობას საბოლოოდ და მტკიცედ მოუწევს უარის თქმა ბრექსიტზე შეთანხმების გარეშე და შეთანხმების გადახედვა ლეიბორისტების მიერ შეთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებით. საუბარია რამდენიმე პუნქტზე, რომელიც გულისხმობს ევროკავშირს და ბრიტანეთს შორის საბაჟო ზონის შექმნას და ევროპულ ბაზარზე ბრიტანული კომპანიების წვდომის შენარჩუნებას.

ორშაბათს, კენჭისყრამდე 1 დღით ადრე, ტერეზა მის განაცხადა, რომ მი-აღწია ისეთ დათმობებს ევროკავშირის მხრიდან, რომლებიც დააკმაყოფილებენ შეთანხმების როგორც მომხრეებს, ასევე მოწინააღმდეგეებს.

„დროა, დაგუჭიროთ მხარი ამ გაუმჯობესებულ გარიგებას,“ – მოუწოდა პრემიერ-მინისტრმა დეპუტატებს.

ამავე დროს უან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ შეთავაზებული ვარიანტი არის მაქსიმუმი, რისი დათმობაც შეუძლია ბრიუსელს.

„ან ეს გარიგება დამტკიცდება, ან ბრექსიტი საერთოდ არ შედგება,“ – განაცხადა მან.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე დღეს, 12 მარტს, ეს შეთანხმება ისევ ჩავარდა, როგორც ჩანს, ბრიტანულ დეპუტატებზე ტერეზა მის და უან-კლოდ იუნკერის მჭევრმეტყველებამ ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.

შესაბამისად, დღესაც გაურკვეველი რჩება – როგორ გავა ბრიტანეთი ევროკავშირიდან და გავა თუ არა საერთოდ?!

RBC



ანდრეას ბრაივიკით შთაბოძებული ტერორისტები

28 წლის ავსტრალიელი ბრენტონ ტარანტი, რომელიც ერთ-ერთია იმ თავდასხმელთაგან, რომლებმაც გუშინ ახალ ზელანდიაში მეჩეთებზე ტერაქტები განახორციელეს, თავის თავს „ჩვეულებრივ თეთრ ადამიანს“ უწოდებს, რომელიც ნორვეგიელი მასობრივი მკვლელის ანდრეს ბრევიკითაა შთაბოძებული, მისი თქმით მას სურდა, შური ეძია უცხოელი დამპყრობლების ათასობით მსხვერპლის გამო. ბრენტონ ტარანტის თქმით, მას შოტლანდიური, ირლანდიური და ინგლისური წარმოშობა აქვს და ახალ ზელანდიაში შურისძიების დასაგეგმად და წრთვნებისთვის იყო ჩასული, შემდეგ კი თავდასხ-

მის გადამწყვეტილებაც მიიღო. ტარანტი, მეჩეთზე თავდასხმის პროცესს ფიხს ბუქ-ლაი-ვით გადასცემდა. მსხვერპლის რაოდენობის შესახებ ჯერ ზუსტი ინფორმაცია არაა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დაღუპულთა რაოდენობა 40-მდეა. დაჭრილია ათეულობით ადამიანი. ეს მონაცემები ჯერჯერობით ოფიციალურად არ დადასტურებულია. სამართალდამცვეების ოპერაციის შედეგად ამოღებულია თვითნაკეთი ასაფეთქებელი

მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. იარაღის რაოდენობის მიხედვით, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მეჩეთზე თავდასხმა ზედმინუვნი დაგეგმილი იყო. პოლიციას ჯერჯერობით დარწმუნებით ვერ აცხადებს, რომ ყველა შესაძლო თავდასხმელი დაკავებულია. გაგრძელებული ცნობით, ერთ-ერთი დაკავებული ავსტრალიის მოქალაქე ბრენტონ ტარანტი. მან თავდასხმამდე „ანტიმიგრაციული მანიფესტი“ გამოაქვეყნა, ეჭვმიტანილი სოციალური ქსელის საშუალებით, თავდასხმის მომენტს ინტერნეტში პირდაპირ ეთერში გადასცემდა.

ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისტჩერჩის ორ მეჩეთზე თავდასხმა მოხდა. მასჯიდ ალ ნურის მეჩეთში შავებში ჩაცმული მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით შეიჭრა და სროლა დაიწყო. თავდასხმელმა ცეცხლი ჯერ მამაკაცების შემდეგ კი, ქალების სამლოცველო დარბაზში გახსნა და სამართალდამცველების მიხედვით ადგილიდან მიიშალა. ამ ინციდენტიდან მცირე დროის შემდეგ, მორიგი თავდასხმა ქალაქ კრაისტჩერჩში მდებარე კიდევ ერთ მეჩეთში მოხდა. პოლიცია დაღუპულების მნიშვნელოვან რაოდენობაზე იტყობინება. BBC-ის



ინფორმაციით დაკავებულია 4 ეჭვმიტანილი, მათ შორის 3 მამაკაცი და ერთი ქალია, ჯერჯერობით ცნობილი არაა, სულ რამდენი ადამიანი იღებდა თავდასხმაში მონაწილეობას.

აშშ-ის სენატი პრეზიდენტის წინააღმდეგ

აშშ-ის სენატმა მხარი არ დაუჭირა დონალდ ტრამპის მიერ მექსიკის საზღვრის გასწვრივ კედლის ასაშენებლად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას. სენატის რეზოლუცია, რომელიც ტრამპის განკარგულებას აუქმებს, განსახილველად თეთრ სახლს გადაეგზავნა საბოლოო დასამტკიცებლად. დონალდ ტრამპის განცხადებით, ის ვეტოს უფლებას გამოიყენებს.

პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად ორივე პალატაში ხმების ორი მესამედია საჭირო. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ რეზოლუციას წარმომადგენელთა პალატაშიც უყარეს კენჭი. კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ ის ამყარებს პრეზიდენტის „ფივი“ განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. შეგახსენებთ, რომ გასულ თვეს დონალდ ტრამპმა მექსიკის საზღვრის გასწვრივ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, აშშ-ის პრეზიდენტს აძლევს აღმასრულებელ ძალაუფლებას, კონგრესის გვერდის ავლით მიიღოს საზღვარზე კედლის ასაშენებლად საჭირო თანხა.

ფხენიანი ამერიკას ემუქრება

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა შეიძლება აშშ-სთან მოლაპარაკების პროცესი შეწყვიტოს და ბირთვული პროგრამა განაახლოს. ამის შესახებ ჩრდ. კორეის მთავრობის წარმომადგენელმა ჩხვე სონ ხიმ ფხენიანში პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ ტრამპმა ვიეტნამში „ოქროს შანსი“ გაუშვა ხელიდან, კორეის ნახევარკუნძულის სრულ დენუკლირიზაციის მიმართულებით და დაამატა, რომ ჩრდილოეთ კორეა არ წავა ცალმხრივ და უპირობო დათმობებზე, თუ აშშ-სგან შემხვედრი ნაბიჯები არ იქნება გადადგმული.

(მეხუთე პერიოდი)

უნივერსალურია მის მხატვრულ ტექსტებში ეპოქათა კონცეპტუალური აღქმის პარამეტრები... მათში კლასიკური თვალსაჩინოებით წარმოჩინდება ის, თუ როგორ ფორმირდება ინდივიდისა თუ მასის ცნობიერებაში შიშის, ეჭვიანობის, შეთქმულებისა და სხვა ნეგატიური ინსტიტუტების დესტრუქციული გამოვლინებანი, ანუ ყოველივე ის, რაც უძველესი დროიდან დღემდე ბადებს მასობრივი ისტერიის, ტოტალური ფსიქოზისა და მილიტარისტული ვნებების ატმოსფეროს...

როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, თავისი მხატვრული ქმნილებებით, ისიც იღვწოდა, ამაღლებულიყო ცივილიზაციების თანმდევი მანკიერ პროცესებზე, დაპირისპირებოდა ადამიანისა და მისი ყოფიერების შეურაცხყოფელ მუტაციებს...

მისი ბოლოდროინდელი შედეგები – „გოდორი“, XX საუკუნის კიდევ ერთი დიდი ქმნილება... ცივილიზაციის დინამიკური პროცესი აქაც „სოფლის უკუღმა ტრიალითაა“ თითქოს „კასტრირებული“... მასშიც სახიერდება ადამიანთა ცოდვა-ბრალით აღქმული და ურიცხვ სიფათთა მოლოდინით დაყურსული სინამდვილე...

პერსონაჟთა მოქმედების სტრატეგია საკუთარივე სუბსტანციის ძიების მოტივაციითაა განპირობებული და აქედანვე იწყება მათივე მარგინალიზაციის პროცესიც...

სიმბოლურია, რომ ოთარ ჭილაძის ეს რომანი არსებითად პოლისემიური ქმნილებაა, რამეთუ ტექსტი მასში „თავისუფალია“ ერთმნიშვნელოვანი სემანტიკური აღქმის „დექტაისაგან“...

სწორედ არ იკვეთება ლიტერატურული ქმნილების პოეტუალური კონცეპტუალური დისკურსი, ანუ ე.წ. „გზაჯვარედინი“ მკითხველისა და ავტორის კრეატიული ჰარმონიზაციისა, იმ „მოლოდინის ჰორიზონტის“ დაძლევისა, რომლისკენაც ისინი ერთობლივად მიისწრაფიან...

ასე რომ, იშვიათად დიდი მწერლის კიდევ ერთი კლასიკური ქმნილება, ვითარცა XXI საუკუნის ქართული მწერლობის ღირსეული ფუძეთაგანი და მაცნე მომავალი დიდი ლიტერატურული ცხოვრებისა...

ღრმად მედიტაციური და მაღალი ხელოვნებით „ნაძერწი“ ოთარ ჭილაძის პოეზია...

მისი თაობიდან მან ერთ-ერთმა პირველმა შეძლო აღმოეჩინა სამყაროს ღირსეული აღქმის ახლებური მოდულაციები, ფუნქციურად სახეცვლილი მხატვრული სახეები, სალექსო რიტმის ორიგინალური რეგისტრები...


საგანგებოდ „განვრთნილ“, ხმარებით

სიკვდილთან დაქორწინებით იბადება ხელოვნის ცნობიერი უკვდავება...

„დაღლილსა“ და გაცვეთილ სიტყვებს, განცდებსა და ემოციებს მან მხოლოდ თავისთვის ორგანიზებული „მინიერი სიბრძნე“ და ეფეონია შეუნაცვლა: „როდესაც ჩნდება ადამიანი/მინაზე უნდა ადგილი ჰქონდეს/რომ შეაჩვიოს ხორცი იარას/გონება სივრცეს და სული ცოდვებს“ – ეს პოეტური მედიტაცია მისივე მსოფლგანცდისა და მორალური კულტურის პარადიგმაა...

სიყვარული, როგორც გალანტურ განცდათა „ოაზისი“ და როგორც უნეტარეს „სიზმართა“ უსასრულობა – ასეთია პოეტის სატრფიალო ლირიკის რომანტიკული ვიზიონთა კონტექსტუალური „შლეიფი“... ამ მოტივაციით აღბეჭდილი ლექსები, ოდენ „სურნელოვანი“ და ნეტარ სხოვნათა აღმკვრელი „ნდომითა“ და შთაგონებით არიან განმსჭვალულნი – „გათავდა, აღარ ჩამოგვხსნებოდა/არც მასხოს ვის რა უთხარს გუშინ/და ვაფათურებ სიცხიან ლექსებს/შენს თმებზე, მხრებზე, მუხლებზე... სულში“...

არსებითი კი ისაა, რომ ოთარ ჭილაძის ფენომენი კიდევ ერთი შთაბეჭდავი ილუსტრაციაა სახეობრივი აზროვნების უნიკალური შესაძლებლობებისა, შემოქმედებითი ცნობიერების ახალ პარადიგმათა წარმატებული ძიებისა, საუკუნის „პროვოკაციულ ცდუნებათაგან“ განრიდებისა, საკუთარი იდენტობის მაქსიმალური რეალიზაციისა და სრულიად თავისუფალი უხმაურო ყოფიერებისა...



რეალობის ანალიტიკური აღქმის ხელოვნება მის მონუმენტურ ქმნილებებში პირუთენელობის იმ კლასიკურ რეგისტრებამდე მალღდება, რომელთა სივრცეებიდანაც ვითარცა ერის მორალური მსაჯული უფლებას იქნის აუნყოს მას საკუთარი „შეცოდებანი“ და განსაჯოს მის „უძღებ შვილთა“ ცოდვა-ბრალი...

შემოქმედის მხატვრულ-ფილოსოფიური ცნობიერების წიაღიდან როგორ იბადება ლიტერატურული ტექსტი, როგორ იქცევა იგი პერადიკური კონტრუქციების მაღალ – მხატვრულ ფორმებად თუ ინტელექტუალურ და მორალურ ინსპირაციად, ამის კლასიკური ილუსტრაციაა მწერლის რომანისტიკა...

ლიტერატურა, როგორც ყოფიერების კრეატიულ პულსაციათა დეტონატორი, მის მხატვრულ ქმნილებათა ორგანული ჰიპოსტასია...

ამ ანალიტიკური წიაღსვლებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენს წინაშეა მწერლის მრავალწახანაგოვანი სიტყვიერი კოდით განსახონებულ მხატვრულ ქმნილებათა შთაბეჭდველი პანორამა, რომლის მიმართ შეუძლებელია, არ იყო უდრმესი თავყვანისცემით განმსჭვალული...

ამიტომაც იქცა იგი თანამედროვეთა ერთ ჭეშმარიტ სულეერ ოაზისად...

რაოდენ საგულდისხმოა, რომ სამშობლოს შეღავთი ღირსებითა და პერმანენტული შინააშლილობით გულმოკლული

თბილისის განვითარების ფონდი და დედაქალაქის ბაღებისა და ხიდეების რეაბილიტაცია

თბილისის განვითარების ფონდი მშრალი ხიდისა და ზაარბრიუკენის ხიდების, 9 მარტისა და დედაენის ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს. პროექტის ფარგლებში, ასევე, მოეწყობა ამ ბაღებს შორის დამაკავშირებელი საფეხმავლო გვირაბი.

რეაბილიტაციურულ არეალში კეთილმოეწყობა მხატვრების გამოფენა-გაყიდვისა და ძველებური ნივთებით ვაჭრობის სივრცეებიც, რის შედეგადაც მოგვარდება მრავალწლიანი პრობლემები, რომელიც დისკომფორტს ქმნის თვითდასაქმებულებისთვის, ადგილობრივი მომხმარებლისა და ტურისტებისთვის.

სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს, ქალაქის ისტორიულ ნაწილში დიდი ტურისტული მარშრუტის შექმნას, ძველი და ახალი რეაბილიტაციური ზონების ერთმანეთთან დაკავ-




შირებას, ტურისტულად მნიშვნელოვანი მიზიდულობის ცენტრის – მშრალი ხიდისა და მიმდებარე არეალის ადაპტაციას დედაქალაქის სტრუქტურისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებთან. პროექტის საერთო ღირებულება 9 679 520 ლარს შეადგენს და ის თბილისის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ივანიშვილის სასახლის მოსაზღვრე ტერიტორიის სტატუსის უკუდაბრუნებას უარყოფენ

დედაქალაქის გენერალური გეგმა და მორიგი სკანდალი – მერიის გენგემაში ოპოზიციის მიერ გასაჯაროებული ფაქტების შემდეგ, სავარაუდოდ, ცვლილებები შეაქვს.

საუბარია ბოტანიკური ბაღის 14 ათას კვადრატულ მეტრზე, რომელსაც სტატუსი უნდა შეეცვალოს და მასზე მშენებლობის ნებართვა გაიცეს. აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორია სწორედ ბიძინა ივანიშვილის სოლოლაკის სასახლეს ესაზღვრება. დედაქალაქის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე აცხადებს, რომ ფაქტები, რომელიც ოპოზიციამ გასაჯაროვა, ტექნიკური ხარვეზი იყო და გამოსწორდება:



„ბოტანიკური ბაღი არის ძველის სტატუსის მატარებელი. თქვენი გაშუქებული სიუჟეტი ვნახე, არანაირი საფრთხე ბოტანიკურ ბაღს არ ემუქრება. ის, რაც არის ტექნიკური ხარვეზი, უნდა გასწორდეს. ეს ტექნიკური ხარვეზი გასწორდება. რა თქმა უნდა, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი,“ – აცხადებს საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე. საკრებულოს თავმჯდომარე რუკაზე არსებულ ხარვეზზე მიუთითებს: „რუკაზე შესაძლოა, იყო ლაქა ხარვეზის, მაგრამ მიღებასთან ერთად გენერალური გეგმა რომ იქნება მიღებული კომისიებზე, თქვენ დაესწრებით, აღნიშნული ტერიტორია არის ძველი და ამავე დროს იქნება ამ ტერიტორიაზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონა I-ის სტატუსი,“ – აცხადებს გიორგი ტყემალაძე.

აეროპორტის დასახლების კეთილმოეწყობა ბრძელდება

სამშობროის რაიონის გამგეობა აეროპორტის დასახლებაში ხვედელიანის ქუჩის კაპიტალურ რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, ბორდიური და ტროტუარი მოეწყობა, ხოლო 5 000 კვმ ფართობზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო.

საგზაო სამუშაოების დაწყებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციები მოწესრიგდა. პროექტის განსახორციელებლად, სამგორის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 380 000 ლარი გამოიყო. ხვედელიანის ქუჩაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს სამგორის რაიონის გამგებელი ვახა გულედიანი გაეცნო. საგზაო სამუშაოებს გამგეობის კონტრაქტორი კომპანია „ენ დი როუდი“ აწარმოებს.

ჭადრაკი

პრის „ბრინჯაო“!

ოთხი წლის წინათ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა (ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, მთავარი მწვრთნელი და კაპიტანი ელიზბარ უბილაძე, მწვრთნელი დავით ჯოჯუა) ჩინურ ჩენდლში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა.

ჩვენებმა იმავე შემადგენლობით იასპარეხეს ასტანაში (ყაზახეთი), სადაც მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა 10-10 ნაკრები ეცილებოდა ერთმანეთს გუნდურ მსოფლიოს პირველობას. ბოლო, მე-9 ტურში ქართველები რუსებს დაუზავდნენ (ყაიმზე შეთანხმდნენ: ბელა ხოტენაშვილი - კატერინა ლანო, ალექსანდრა კოსტენიუკი - მერი არაბიძე, ლელა ჯავახიშვილი - ვალენტინა გუნინა, ალექსანდრა გორიაჩინა - ნინო ბაციაშვილი) და 18



შესაძლებლობიდან 12 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვეს უკრაინელებმაც, მაგრამ ჩვენებს საერთო მონაგარი უკეთესი აღმოაჩნდა და უკრაინელები მეოთხეზე დარჩნენ.

ყაზახეთის დედაქალაქში ვადამდე

რაზვი

„დათვაბთან“ შაჰმა გუნჯურია

რაზვი ევროპის ან უკვე II-გზის ჩემპიონები - „ბორჯღალოსნები“ ტურნირის ბოლო პაექრობას 17 მარტს რუსეთის ნაკრებთან კრასნოდარში „ყუბანის“ სტადიონზე გამართავენ. მატჩს ინგლისელი რეფერი ტომ ფოლი მოემსახურება, ხოლო კიდევებიდან მას, ასევე, ინგლისელები - ენტონი ვუდტორპი და ფილ უოტერსი დახმარებიან, ერთი დღით ადრე კი „საქართველო XV“ რუსეთის „ა“ ნაკრებს კრასნოდარშივე სტადიონ „ტრუდუზე“ შეხვდება.

საქართველოს და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებები ბოლო 26 წლის განმავლობაში 22-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჩრდილოეთ-მა მებობლებმა მხოლოდ პირველი შეხვედრა მოიგეს 1993 წელს სოპოტში (პოლონეთი, 15:9), 2002 წელს თბილისში ფრედ დაამთავრეს ბრძოლა 12:12, დანარჩენ 20 შემთხვევაში „ბორჯღალოსნებმა“ გაიმარჯვეს. ჩვენებმა „დათვაბთან“ ყველაზე დიდი სხვაობით 2012 წელს „მიხეილ მესხზე“ დაამარცხეს - 46:0, შარშან კრასნოდარში კი მე-20 საიუბილეო წარმატებას 20 ქულის სხვაობით მიანდნენ - 29:9. სულ გატანილ-გაშვებულ ქულათა ბალანსია 557:254-ზე.

მას შემდეგ, რაც 2018 წლის სკანდალს რუმინეთისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები შეენივნენ, რუსებმა 2019 წლის მსოფლიოს თასის საგზური მიიღეს და მთავარ მწვრთნელად ლინ ჯონსი მიიწვიეს. მისი ხელმძღვანელობით „დათვაბთან“ ასეთი შემადგენლობით იბრძოლებენ: ვასილი არტემიევი, გერმან დავიდიოვი, ვლადიმირ ოსტროუმკო, დიმიტრი გერასიმოვი, მიხაილ ბაბაევი, იური კუშნარიოვი, ალექსეი შჩერბანი; ვალერი მოროზოვი, სტანისლავ სელსკი, ინოკენტი ზიკოვი, ანდრეი ვოსტრიკოვი, ანდრეი გარბუზოვი, ანტონ სიჩოვი, ტაჰირ გაჯიევი, ვიტალი ჟივატოვი, ევგენი მატვეევი, სერგეი სეკისოვი, აზამატ ბიტი-

ევი, ბოგდან ფედოტოვი, რომან ხოტინი, დიმიტრი პეროვი, რომილ გაისინი, ვიქტორ კონოლოვი.

საქართველოს ნაკრებში მიწვეულნი არიან: ზურაბ ჟვანია („ვოსფსი“), გურამ გოგიჩაშვილი („რასინგი“), შალვა მამუკაშვილი („ენისეი“), ვანო კარკაძე („ორიაკი“), ლევან ჩილაჩავა („მონპელიე“), გიორგი მელიქიძე („სტად ფრანსე“), ბექა გიგაშვილი („გრენობლი“), გიორგი ნემსაძე („სოფრინი“), დავით გიგაური („ბუქარესტი“), ნოდარ ჭიჭივილი („კორნის პირატსი“), შალვა სუთიაშვილი („ანგულემი“), ბექა გორგაძე („ბორდო“), გიორგი ცუცქერიძე („ორიაკი“), ოთარ გიორგაძე („ორიაკი“), გიორგი თხილაიშვილი („ბათუმი“), ვასილ ლობჯანიძე („ბრივი“), გელა აფრასიძე („მონპელიე“), გიორგი ბეგაძე („ლოკომოტივი“), თედო აბუხადაძე („აია“), ლაშა მალალურაძე (ვვა), და-

ვით კაჭარავა („ენისეი“), მერაბ შარიქაძე („ორიაკი“), გიორგი კვესელაძე („არმაზი“), ზურაბ ძნელაძე („ლოკომოტივი“), ალექსანდრე თოდუა („ბათუმი“), გიორგი აფციური („ლოკომოტივი“), მირიან მოდეხაძე („აია“), ლაშა ხმალაძე („ბათუმი“), სოსო მათიაშვილი („ლელო“).

მილთონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ქართველთათვის რაგბი ევროპის ჩემპიონატში რუსეთთან თამაში ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მხოლოდ სასპორტო დაპირისპირება არაა და ვფიქრობთ, გულშემატკივარს კვირას კარგ წარმოდგენას ვაჩვენებთ. რუსეთის ნაკრები უწინდელთან შედარებით უფრო სწრაფი და ათლეტური გუნდია. მას ყველა კომპონენტში ეტყობა გაუმჯობესება და ბურთსაც სწრაფად ათამაშებს, თუმცა, ჩვენც მზად ვართ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძობებით“.

ლაშა დიდი

ლაშა დიდი

ლაშა დიდი

ლაშა დიდი

ლაშა დიდი

ლაშა დიდი

ლაშა დიდი

სუმო



„ტორიო“ აინუპიტა

მარტივლმა სუმოსტმა ლევან გორგაძემ, იგივე ტორინოშინმა, ჰარუ ბაშოს მე-6 დღეს მე-4 გამარჯვება იხიმა და დადებითი ბალანსი გაიმყარა.

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე ჰარუ ბაშოს მორიგ ტურში აღმოსავლეთის მე-2 ოქციის ნოდების მქონე ქართველი სეკიტორი აღმოსავლეთის პირველ კომუსუბი მიტაკეუმის გადაეყარა და დამაჯერებლად - ნამებში განხორციელებული უვატენაგეთი დაჯაბნა.

ტორინოშინმა გასული წლის ივლისის ბაშოს ტრიუმფატორს (მაშინ იაპონელმა „იმპერატორის თასი“ კარიერაში პირველად და ჯერჯერობით, უკანასკნელად შემართა) სასტარტო შეჯახებისას არაფერი დაუთმო, შემდეგ კი საჭირო ფაზს გამოეცალა და იაპონელი სუმოსტი დოჰიოზე დაენარცხა.

შეგახსენებთ, რომ გორგაძე კადობანში გახლავთ ჩაყენებული და ოქციის პრესტიჟული ტიტულის შესანარჩუნებლად უცილობლად კაჩი-კოშის დაფიქსირება სჭირდება, ამდენად, გუშინდელი გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მარტის სუპერტურნირის მე-7 დღეს ლევანის პირისპირ დასავლეთის პირველი მაეგაშირა ენდო დადგება, რომელსაც ოსაკაში მხოლოდ 1 ბრძოლა აქვს მოგებული, ჩვენებური კი მას ურთიერთშეხვედრებში 5:3-ს უგებს.

ამასობაში ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში პირველად წაიფორსილა ოქცი გოეიდომ და დაუმარცხებელი მხოლოდ ორნი დარჩნენ: იოკოძუნა ჰაკუჰო და დასავლეთის მე-4 მაეგაშირა იჩინოჯო.

სამწუხაროდ, კარგად არ მიდის საქმეები გაგამარუს შიკონათი ცნობილ თეიმურაზ ჯუღელს, რომელიც რანგით მე-2 დივიზიონ ჯურეოში აღმოსავლეთის მე-8 ნომრის ნოდებით ირჯება.

გუშინ ქართველმა გოლიათმა დასავლეთის მე-5 რეიტინგოსან დაიპოვარუსთან ცუკიოტოში წააგო და ექვს შეხვედრაში 4 მარცხი მოუგროვდა.

გაგამარუს სიტუაციის გამოსწორებას დღეს ეცდება, როდესაც მეტოქედ დასავლეთის მე-10 ნომერი ვაკამოტოჰარუ ეყოლება. თეიმურაზს ის ერთხელ უკვე დაჯაბნილი ჰყავს.

კობა კოხანაძე

ლეგიონერი

ფაშორიტი გოგა ბითაქა

ცნობილმა საკალათბურთო პორტალმა Eurohoops.net ევროლიგის მიმდინარე სეზონის ამომავალ ვარსკვლავთა მისეული რეიტინგი გამოაქვეყნა და სასიხარულოა, რომ აღნიშნული ტიტულის უმთავრეს მაძიებლად „ბუდუქნოსტის“ 19 წლის ქართველი ცენტრი გოგა ბითაქე დაასახელა.

აი, რას წერს აღნიშნული ვებ-გვერდი ჩვენებურის შესახებ:

„გოგა ბითაქე ევროლიგის ამომავალი ვარსკვლავის ნოდების მიღების უმთავრესი კანდიდატია და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმებმა მისი აღმასვლა მცირედით შეაფერხა. ტურნირში ჩატარებულ 9 შეხვედრაში ბითაქის საშუალო მონაგარი 11.9 ქულა, 6.4 მოხსნა და 2.7 დაფარებაა და უდავოა, რომ ის ევროლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ცენტრია.“

გოგა მხოლოდ 19 წლისაა და, ცხადია, მომავალ კიდევ შეუძლია, თუმცა, სადღეისოდაც კი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ კარგი კალათბურთელი. ბითაქე ევროლიგაში საუკეთესო მატჩი „მილანთან“ ჩაატარა, როდესაც 23 ქულა, 8 მოხსნა და 3 დაფარება მიიღო. ის შეხვედრა იტალიელებმა 111:94 მოიგეს, გოგა კი ძალიან შთამბეჭდავი იყო.“

Eurohoops.net-ის აზრით, ბითაქესთან ჭიდილის მცირე შანსი აქვთ სხვა იმედისმომცემ მოთამაშეებს - იოველ ზოსმანს („მაკაბი“, ისრაელი), გეორგიოს ჰაპაიანისს („პანათინაიკოსი“, საბერძნეთი), პეტარ პოპოვიჩსა („ბუდუქნოსტი“, მონტენეგრო) და ლაურინას ბირუტისს („ჟალგირისი“, ლიტვა).

ცნობის თქმის: თავის დროზე ევროლიგის ამომავალი ვარსკვლავის ტიტული ისეთ კალათბურთელებს მიუღიათ, როგორებიც ლუკა დონჩიჩი, რუდი ფერნანდესი, დანილო გალინარი, რიკი რუბიო, ნიკოლა მიროტიჩი და ბოგდან ბოგდანოვიჩი არიან.

შეგახსენებთ, რომ ბითაქის კლუბს ევროლიგის მომდევნო შეხვედრაში ჭიდილი საქართველოს ნაკრების კალათბურთელთა - თორნიკე შენგელიასა და მეტ ჯენინგის „ბასკონიასთან“ მოუწევს.

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

აპნისის კონტურები



რომპორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრამ ერთი ინგლისური წყვილი მაინც „გამოაცხო“, თუმცა, ნაკლები ბრძოლები არც დანარჩენ დუეტებშია სავარაუდო - რაც შეიძლება წინ წაწევის ამბიცია სომ ყველას გააჩნია.

კიდევ უფრო მძაფრი სანახაობები გველის ნახევარფინალებში, რომლის შესაძლო მონაწილენიც ასევე გუშინ-

დელმა წილისყრამ „დაახარისხა“.

მოკლედ, 9-10 და 16-17 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან:

- 1. „აიქსი“ - „იუვენტუსი“,
2. „ლივერპული“ - „ბორტუ“,
3. „ტოტენჰემი“ - „სიტი“,
4. „ბარსელონა“ - „მანჩესტერი“.

ნახევარფინალი 3-1, 4-2.
გიორგი შოთაძე

სსპდსსსპ

თამაზ ჯინჭარაძე



ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა - მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა ცნობილი მხატვარი-ფერმწერი თამაზ ჯინჭარაძე.

1959 წელს მან დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ: აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე. სადიპლომო ნამუშევარმა „შატლის დაცვა“ (ხელმძღვანელი კ. სანაძე) იმთავითვე დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბ-ნი თამაზი 1964 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

იგი 1959 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში. აღსანიშნავია მისი ფერწერული ტილოები: „ქალაქის ბაზარზე“, „მოხუცი“, „დები ჯინჭარაძეები“, „ზანაშვიდი იმერეთში“, „პეიზაჟებისა და ნატურ-მორტების სერია. დიდი ადგილი მხატვრის შემოქმედებაში პორტრეტულ ჟანრს ეკუთვნის: „მხატვარ ნ. კანდელაკის პორტრეტი“, „ავტოპორტრეტების“ სერია, „შვილიშვილების“ სერია და მრავალი სხვა.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ბატონი თამაზ ჯინჭარაძე წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი მხატვარი, განათლებული, უკეთილშობილესი პიროვნება და თავდადებული მეგობარი.

ბატონი თამაზ ჯინჭარაძის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მისი ხელოვნების თაყვანისმცემელთა ხსოვნაში.

საპარტიველო მხატვართა კავშირი

სანთელი

სპარტაკ ბუკია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის თანამშრომელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ნიჭიერი და კეთილშობილი პიროვნება სპარტაკ ბუკია.

იგი დაიბადა 1970 წლის 6 ოქტომბერს ხობში პედაგოგთა ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1987 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1995 წელს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლოქარ წლებს დაემთხვა სპარტაკ ბუკიას მამულიშვილური მოღვაწეობა საქართველოს პარლამენტში, სადაც 1996 წლიდან დაიწყო მუშაობა

ექსპერტ-კონსულტანტად, შემდგომ - ნამყვან სპეციალისტად, 1997 წლიდან 1998 წლის ნოემბრამდე კი პარლამენტის აპარატის უფროსად მუშაობდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში. სპარტაკ ბუკიამ ძალიან მოკლე ხნის მანძილზე შეძლო, როგორც ახალგაზრდა და უნარიანმა სპეციალისტმა, ეღვაწა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ეკონომიკური ანალიზის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, შემდგომ - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსად, ბოლოს კი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე და, საერთოდ, ყველგან, სადაც კი მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, თავი გამოიჩინა, როგორც უნიჭიერესმა ეკონომისტმა და წარმო-



ების ორგანიზატორმა, რაც მკაფიოდ გამოვლინდა 2010-2011 წლებში შპს „დეჰაგემი“ ქსელის ფინანსურ მენეჯერად და ქსელის დირექტორად მუშაობის პერიოდში. მეტად რთულ სამუშაოს ხელმძღვანელობდა 2015-2017 წლებში, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის მრჩეველი, ხოლო 2018 წლიდან - სურამის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორი. მან სანიმუშოდ მოაწყო აღნიშნული შპს-ს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველა, ვინც კი სარგებლობდა აღნიშნული ცენტრით, მადლიერი იყო სპარტაკ ბუკიას ამაგიტ, რის გამოც მას, როგორც მათზე მზრუნველ მამას, მამა ბუკა, ბუკა ექიმი შეარქვეს.

2016 წლიდან სპარტაკ ბუკია სწავლობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორანტურაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და გააგრძელა მუშაობა ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. სამსახუროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ცხოვრების გზა. ს. ბუკიას გარდაცვალებამ უდიდესი ტკივილი მიაყენა მეგობრებს, ახლობლებს, კოლეგებსა და იმ ადამიანებს, რომელთა ჯანმრთელობაზეც ზრუნავდა.

ბატონი სპარტაკი შესანიშნავი ოჯახის თავკაცი იყო. მან მეუღლესთან, თამარ ნადირაძესთან ერთად, ოთხი შვილი აღუზარდა სამშობლოს. მეგობართა ბევრი მცდელობის მიუხედავად, მისი სული მაინც წინაპართა სულებს შეუერთდა. მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა ქვეყნისთვის დამავსვრალი მამულიშვილისათვის.

საპარტიველო ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ნარკორეალიზატორების დაჯგუფება აყვანილია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორების ორგანიზებული ჯგუფის 29 წევრი დააკავა. აღნიშნულთან დაკავშირებით შსს-ს მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბორცვაძემ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული მასშტაბური ოპერაციის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა საქართველოში ნარკოტიკების შემოტანისა და გასაღების დანაშაულებრივი სქემის გამოვლენა და ორგანიზებული ჯგუფის წევრების - მსხვილი ნარკორეალიზატორების დაკავება. თბილისის, ქვემო ქართლის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, რამდენიმე თვიანი მასშტაბური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები განახორციელეს, რომლის შედეგად ნარკოდანაშაულისთვის 29 პირი დააკავეს.“



კერძოდ, თბილისში - ფონიჭალის დასახლებაში დაკავებულია ნარკორეალიზატორების ორგანიზებული ჯგუფის წევრები, რომლებიც ნარკოტიკებს სისტემატურად ასაღებდნენ. გამოძიებით დადგინდა, რომ ფონიჭალაში დაკავებული ორგანიზებული ჯგუფის წევრები დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების გავრცელების სათავეში იდგნენ. ისინი განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ საშუალებებს სხვა ნარკორეალიზატორებზე ასაღებდნენ და მათ მიერ ნარკოტიკების გავრცელების შედეგად მიღებული თანხის გარკვეულ ნაწილსაც იღებდნენ.

ბის შედეგად ამოღებულია: 11 კილოგრამამდე „ჰეროინი“, 1 კილო და 300 გრამი „კოკაინი“, 800 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 1300 აბზე მეტი „ექსტაზი“, 4 კილო და 500 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება და 150 გრამი ფსიქოტროპული პრეპარატი. მიმდინარე წელს, სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში 318 პირი მისცეს, - განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.

გომბორზე აპარტის ერთი აღაშენი ემსხვერპლა

გომბორზე, შუამთის მონაკვეთზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ინციდენტს კაცი ემსხვერპლა. ერთმანეთს სატვირთო ავტომობილი და „კიას“ ფირმის „ჯიპი“ შეეჯახა. მსუბუქი ავტომობილის მძღოლი ადგილზე დაიღუპა. სხვა დეტალები უცნობია.

დაპარბულ შვიისარქივებს საფრთხე არ ემუქრება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მესამე-მეშველემბა მტრალას ეროვნულ პარკში დაკარგული შვიცარიის ორი მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე გამოიყვანეს. ტურისტებს ლაშქრობისას გზა აუბნათ და ტყიდან გამოსვლა ვეღარ მოახერხეს.

სამძებრო სამუშაოები გვიან ღამით, რამდენიმე საათის განმავლობაში, რთულ მტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მესამე-მეშველემბა მოახერხეს დაკარგულების პოვნა და უსაფრთხო ადგილას გადაყვანა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ქლიპრი წვიმა, ქარი და შტორმი - საქართველოში

ბარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 17-18 მარტს საქართველოში მოსალოდნელია წვიმა (დასავლეთ საქართველოში ზოგან ძლიერი), დროგამოშვებით დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, მაღალმთიან ზონაში თოვა და ქარბუქი.

ზღვაზე შესაძლებელია 3-4-ბალიანი ლეღვა. მოსალოდნელია ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე წყლის დონის მნიშვნელოვანი მატება, მაღალმთიან ზონებში თოვლის ზვავების ფორმირება, ზოგან მყნყრული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.



ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამომცემი სააგენტოს მიხედვით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამომცემი სააგენტოს სამართლის იურიდიული პირი ნიალის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამომცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202482571
2	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა Info@nam.gov.ge
4	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის

ადგილმდებარეობა	
8	აუქციონის საწყისი ფასი 15 899 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 1 589.9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 1 790 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეესტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 16 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 2 წელი
14	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №2	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამომცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

		ჩაბრებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირდელეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრემის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 170 295 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირდელეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	114 171 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11 417.1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	11 617 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 16 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57
3	ელ-ფოსტა	ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების პროცესში წარმოქმნილ ქვებულს ჩაუტაროს თანადროული და ეტაპობრივი რეკულტივაცია, ხოლო ქვებულში წყლის ჩადგომის შემთხვევაში მოახდინოს წყლის დაწრეტვა სადრენაჟე არხებით ან სხვა შესაბამისი მეთოდებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების პროცესში ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებსა და მშენებლობაში. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენარეაბილიტაცია. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით. ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის. ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ვერძალა გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა. კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის სარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის

		არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები; ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მენიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბრებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „მეტეხის“ ქვიშა-ხრემის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 61 110 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	40 970 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4 097 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 297 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 16 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
3	ელ-ფოსტა	ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მიმართულად. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევნი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსპორტირების პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 19 აპრილის N1-1/525 „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნებით“ დამტკიცებული ნორმები. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენარეაბილიტაცია.

		<p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>კ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის საარგებლოდის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ორღულის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად)- 5 055მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ორღულის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 396 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	439.6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	640 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 16 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) სალიცენზიო ობიექტის ტერიტორიაზე დამუშავების პროცესში წარმოქმნილ კვაბულებს უნდა ჩაუტარდეს თანადროული და ეტაპობრივი რეკულტივაცია, ხოლო კვაბულებში წყლის ჩადგომის შემთხვევაში უნდა</p>

		<p>მოხდეს წყლის დაწრეტა სადრენაჟე არხებით ან სხვა მეთოდებით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 25 იანვრის №812-2 წერილით განსაზღვრული პირობები.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს ძარავდახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენ-რეაბილიტაცია.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>კ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის საარგებლოდის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე „ციხისძირის“ ქვიშა-ხრემის საბადო, (კატეგორია - C ₁ +P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 41 700 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	31 737 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 173.7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 374 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 16 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა

		უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
